

პრსენალი



№16 (137). 5-18 აპრილში, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

1425
2011

**სენსაციური – ავრსტოს ომის
დროს რუსეთს აზერბაიჯანის
დაუბოძებავს...**

**სამი წელი
ომის შემდეგ...**

**ვინ და რატომ
დაუბრუნებს
იალბუჯის თევზა**

**სტალინ-გერმანს ავანტურა
ქართულ ემიგრაციაში**

**რას ეჩიოდნენ ამერიკელები
საქართველოს ახალ
თავდასხვის მინისტრს...**





დაეპვილოგება
„შაზლთან“

44



გასაგერი
განკეპის
იქელზე

47




როგორ იქმნებოდა
ლეგენდარული T-34

30

რაგომ ექებენ
აქერიქელები რუსულ
უნიარალებას



35



თვითგაღარჩენა
ულანოსა და
ულანურ გყუი

39

პირველივე
გასროლით
1200მ-ზე



53



სარჩევი

- 4** სახანძრო სიხალეები კალენდოსკოპი
- 7** ომის დანებების ზღვარზე... საი წლის შიშვენი ომის გამოძახილი
- 9** ომის შემდგომი ვითარება ზღვარზე ავიზიონის ომის ანალიზი
- 12** ავიზიონის ომის დროს რუსეთს უზარაპოვანო დაუპირისპირებ სენსაციები
- 16** კავკასიური მოქალაქეების მიმართ რეპორტი
- 18** რას და რატომ მოხდა რუსული ავიაციის ილაზების ძირს საზრთო
- 20** რატომ შეაშურთ ავს ბაიო ანალიზის დანიშნულ და გაგართლდა თუ არა მისი შიში... საინფორმაციო პოლიტიკის პრაქტიკა
- 21** სტალინ-ბერიანს ავანტიურა ქართულ ემიგრაციაში ბერლინის ორბიტის პრაქტიკა
- 24** „პაესი“ — ილუზორი წინადადება ბანკოვანობის ექსპერტიზა
- 30** რუსული ჯავახანდია — სახალაქო ტ-34 და სხვა დავახანდია საინფორმაციო პოლიტიკის პრაქტიკა
- 35** რისთვის სირიება პენსიონის რუსული იარაღის შესიება... თეორეტიკალიზაცია
- 39** როგორ გვიტანოთ თავი უღანოსა და უღანურ ბეჭედი 100 დიდი მხარეთმთავარი
- 42** მარკის აბრევირება კოსმოსი
- 44** დავახანდია „შატლან“ ბავარია
- 47** ბასილი ბანკის იმედი სახანძრო რეპორტი
- 50** 8 ავიზიონის დავახანდია „არსენალის“ იარაღის მარკა
- 53** პირველივე ბასილით 1200 მ-ზე!

გარეგანება — ქართული პირის მხარეში
ჯავახანდია-საინფორმაციო „უღანის“ გვირგვინი

რედაქციისგან

სამი წელი არტუ დე ბერი, თუმიკა ამ პერიოდის ველაჯ სრულიად საქმარის შექმნის დასაჯერებლად, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს რამდენიმე დღის ომმა უდიდესი დანტემა მოგვყენა. ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს ის ნაწილებია, რომელთაც ომით რუსეთისგან, ალბათ უფრო დავახანდიათ სამხედრო მოლაპარაკებით კი ეს მით უმეტეს უტოლია. 2008 წლის აგვისტოს ომით კრემლმა მალაქა მისაღწია — გაამყარა თავისი სამხედრო-პოლიტიკური გეგმისა დასაქმნის კვანძოში და საბოლოოდ არც დასაქმნის გადამტყნა. პირველი ამ ომით შექმნილი თუ დავახანდია დასაქმნის გეგმის პოლიტიკური ძალები იქით ესწრაფვან კრემლის დავახანდია. უნდა თუ არა ამის ოფიციალურად აღიარება საქართველოს ხელისუფლებას, 2008 წლის აგვისტოს ომმა რუსეთთან ჩვენს ქვეყანას, სამედიცინა პრობლემებს გაუქმნა.

166

მოთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადავანიძე
რედაქტორი
თეიმურაზ ჩანანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მონიაშვილი

შურადგება!
გამოიყვამთ „არსენალი“
და მიიღებთ შიშ,
ორ კვირავი მრთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დასაქმნისგან
განსაღებთ გავახანდია
სარკალები
განსაღებთ დასაქმნისგან
1.08.2011

გავით „კვირის პალიტრის“
დაგატება ©
რედაქციის მისაღებთ:
თბილისი, იონაშვილის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარკალები განსაღებთ:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenal@kvirispalitra.com
შურანი გამომდის
ორ კვირავი მრთხელ
პარასკევის

გერმანელი „ლეოპარდ“ ვლანოვის ხლიან



ბუნდესვერმა თანამედროვე ტანკის LEOPARD 2A7-ის გამშობლობაში გამოცდა უდაბნოში, მაღალ ტემპერატურაზე გადაწვევითა. ამ მიზნით გერმანელებმა უდაბნოს არაბული შეარჩავეს და სატანკო ეკიპაჟი შტაბის ოფიცერთან ერთად მიაღწიეს.

გერმანიის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საუდის არაბეთში მოქმედი სამხედროების ამოცანაა ბუნებრივად მაღალ ტემპერატურაზე ტანკში დამონტაჟებული პაერის კონდიციონერის ახალი სისტემის მუშაობის შემოწმება. გამოცდა ამ ზაფხულშივე დასრულდება და ყველა ხარჯს ტანკების მწარმოებელი კონცერნი Krauss-Maffei Wegmann-ი გაიღებს.

საგულისხმოა, რომ გერმანიის უშიშროების საბჭომ ოფიცის ბოლოს საუდის არაბეთისთვის 200-ზე მეტი „ლეოპარდის“ მიყიდვის გადაწყვეტა მიიღო. ამას ქვეყნის ოპოზიციური ძალების მძაფრი კრიტიკა მოჰყვა, რომელმაც ანგეზა მტრეკლის ხელისუფლება დიქტატორული რეჟიმისთვის შეიარაღების მიწოდებაში დაადანაშაულა. თავის მხრივ, გერმანიის თავდაცვის სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ტანკის უდაბნოში გამოცდას საუდის არაბეთისთვის სამხედრო ტექნიკის მიყიდვასთან კავშირი არა აქვს.

ჩიგორი უნდა ამოიხსნოს მოხლოებული ლაიპანი-გომაი

თვითმკვლელი ტერიორისტები საკმაოდ ხშირად თავდასხმისთვის ბლოკოსტებსა და საკონტრაბლანგო პუნქტებს არჩევენ. როგორც წესი, მათ ზღურბლთან მიახლოებისთანავე მოქმედებაში მოპყვით ასაფეთქებელი მოწყობილობა, რითაც საკუთარ თავთან ერთად გარშემოცოფებსაც საიქიოს ისტრქმებენ. ამიერიდან შპაიდლეს ამის გაყვების შანსი ნაკლებად ექნებათ, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ პეტრაგონში.

ამერიკის თავდაცვის უწყებამ სულ ახლახან კონცერნ SET-თან 48,2-მილიონდოლარიანი კონტრაქტი გააფორმა, რაც არძის ქვედანაყოფებისთვის აპარატ CounterBomber-ის მიწოდებას ითვალისწინებს. ეს სამუშაო კომპლექსია, რომელიც ინფრარაიული ვიდეოკამერებითა აღჭურვილი და ადამიანის მახლო-

ებას ავტომატურად ავიწიროებს, რის შემდეგაც იწყება მიზნის რადართო სკანირება, ანარეულ ტალღებს კი კომპიუტერი უკუეობს მიაღწის.

მიღებულ რადიოსიგნალი შედარდება ბაზაში არსებულ ვარიანტებთან (სხვადასხვა ავტოელების უიარაღო ადამიანების მოვლეებთან) და იმ შემთხვევაში, თუ განსხვავებაა, მაშინვე ჩაიროვება ხმოვანი და ეიზუალური განგავის სიგნალი — „მოახლოებული ობიექტი შეარადეულია“.

ახალი აპარატი ანალოგური სისტემების მით სჯობს, რომ მის ნებისმიერი ტიპის, მით შორის კუსტარულად დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოვლენა შეუძლია. CounterBomber-ის ფასი 300 აშშ დოლარია და მისი სატესტო რადიონტები აელანეთში უკვე გაიზუან.



სერბეთის ბალკანური კონფლიქტის უკანასკნელი სახელო რაგნაგავე დაკავის



სერბეთის ხელისუფლებამ ბალკანური კონფლიქტის დროს ჩადენილი სამხედრო დანაშაულისთვის პაავის ტრიბუნალის მიერ ძებნილი უკანასკნელი ბრალდებული დააკავა, — ეს არის სერბეთში მცხოვრები ხორვატი პოლიტიკოსი გორან პავიჩი, რომელიც 1992-1995 წლებში ხორვატიის ტერიტორიაზე აუღიარებული რესპუბლიკის — სერბული კრანის მეთაური იყო.

2004 წელს ყოფილი ოუგოსეობის საკითხებში პაავის საერთაშორისო ტრიბუნალმა პავიჩს ბრალი სამხედრო და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების 14 პუნქტში წაუყენა. მას 1991-1993 წლებში მშვიდობიანი ხორვატი მოსახლეობის ელქტასა და დეპორტაციის მიაწერენ.

გორან პავიჩის დაჭერისთვის აშშ-ში დაწესებული იყო ვილოდო, რომელიც 5 მილიონ დოლარს შეადგენდა. მისი ადგილსამყოფლის გამოხლისთვის კიდევ 1,4 მილიონს სერბეთის ხელისუფლებამ აწესებდა.

დაკავების დროს პავიჩს თან პისტოლეტი ჰქონია, მაგრამ სამართალდამცელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. როგორც ირკვევა, ძებნილი ვაგონ-სახელი გადაკეთებული ჰქონდა და სერბეთის დატოვებას ეშუერბოდა. სამართალდამცელებმა მის კვლზე მას შემდეგ გავიდნენ, რაც პავიჩი ამედეო მოდილიანს ტილოს გაეიდვას ცდილობდა, რომელიც, სყარაუდოდ, ხორვატიაში საომარი მოქმედებების დროს ჩაუყარდა ხელში.

ასეილიონინ თვითფრინავების პილოტებს ქანგალი არ ჰყოფიო?



ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ საბრძოლო თვითმფრინავების მასშტაბური შემოწმების გადაწყვეტილება მიიღო, რაც 2010 წლის ნოემბერში აღას-სკზე F-22 Raptor-ის კატასტროფის მძებნების შესწავლას უკავშირდება. გამოკვლევა ჩაუტარდება ჟანგბადის გენერაციის საბორტო სისტემებს, რომლითაც ამერიკული გამანადგურებლებისა და ბომბდამშენების უმეტესობა, ასევე რამდენიმე შეუღებულენია აღჭურვილი. თუმცა, ამერიკელები პროგრამაში სხვა საფრენი აპარატების ჩართვა-

საც არ გამოიციხავენ. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ცნობით, შემოწმება თვითმფრინავების საცდელ ფრენებსაც ითვალისწინებს, რომლის დროსაც პილოტის კაბინაში წნევა, სასუნთქი აირწინაღობისა და ჟანგბადის კონცენტრაციის მარეგულირებელ სისტემებს დააკვირდებიან. სხვათა შორის, შარშან ნოემბერში F-22-ის დაღუპვის სარწმუნო ვერსიად ამერიკული პრესა პილოტის კაბინაში მხოლოდ აირის მოხვედრას ასახელებდა, რასაც პენტაგონი ოფიციალურად არ აღასტყობდა.

ბარაკ ობამაზე გავის არჩიანი გვანანე შუაი აუთორი

2011 წლის 20 სექტემბრიდან ამერიკის შეიარაღებული ძალების სამსახურში მყოფ გეგებსა და ლესბოსელებს, სურვილის შემთხვევაში, თავიანთი სექსუალური ორიენტაციის გამომჟღავნება შეეძლებათ. გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც 1993 წლიდან სექსუალური უმცირესობებისთვის მოქმედ წესს (Don't Ask, Don't Tell) აუქმებს, პირადად აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა.

აქამდე ამერიკულ არმიაში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პირს სამსახურიდან დათხოვნა უმუქრებოდა, თუკი ამის შესახებ ნაწილში მყოფი სხვა ჯარისკაცები ამ შეთავაზებას შეიტყობდა.

შეიარაღებულ ძალებში გეგებისთვის ყოველგვარი შეზღუდვის გაუქმება ობამას ჯერ კიდევ აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე თავის წინასაარჩევნო პროგრამაში მკონდა შეტანილი. პრეზიდენტის ხელმოწერამდე კანონპროექტს მხარი აშშ-ის კონგრესის კენად და ზედა პალატებში დაუჭირეს. თავიანთე განცხადება, რომ კანონი პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან 60 დღის გასვლის შემდეგ ამოქმედდება.



ბეკვა „ლაჰკის“ კალაგენავითი სნაჟა რუსულ არჩიანი



რუსულ ჯარში ჩრდილოკავკასიელთა გამოხდომები არცთუ იშვიათია, თუმცა ის, რაც ჩელიაბინსკის ოლქის სამხედრო ნაწილის რეგიონაზინალაბიდე გიმბატოვმა ჩაიდინა, ყურადღების გასამახვილებლად ღირს. თუმცე ამ წლის თებერვალში გიმბატოვი სამხედრო ნაწილის სამედიცინო იზოლატორში აღმოჩნდა და ჯარისკაცმა სურედ იქ მოინდომა სლავური წარმომავლობის ჯარისკაცებთან თავისი ურატოების დამტკიცება. ის თავის ტელეფონში ჩაწერილ „ლაჰკუს“ რთივად და იქ მყოფ ჯარისკაცებს ცეკვას აიძულებდა.

საინტერესო ისაა, რომ გიმბატოვი სლავ ჯარისკაცებს „ლაჰკუს“ ცეკვისს ოდნე უზუსტობასაც არ აპატებდა და არასწორი მოძრაობის გაკეთებისთვის უმოწავლად სცემდა.

«ცმკვის კავკასიელი მასწავლებელი» ლაზარეთში მყოფმა სხვა ჯარისკაცებმა უფროსობასთან დაბეზლეს. შედეგად გიმბატოვი სამხედრო სამსახურის წესების დარღვევისა და ეროვნებათშორისი შუღლის გაღვთებისთვის გაასამართლეს და მას ერთი წლით დისციპლინარულ ბატალიონში უკრეს თავი.

ჯალსიკური პილავი პეჩვიანოვკევეს სკეპს ვევისუკევეს



ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკული კონსტრუქტორები ჯარისკაცების ყოფს შემსუბუქებას ახალი ტყვიამფრევეს შექმნით აპირებენ. უნიკალური იარაღი პლასტიკური პილავის მქონე ტყვიებზეა გათვლილი და თანამედროვე ხელის ტყვიამფრევე M249-თან შედარებით გაცილებით მსუბუქია.

ახალი იარაღი LSAT LMG საზღვაო ქვეითთა ბაზაზე, კვანტინოში გამოცადეს. აღმოჩნდა, რომ ის ტრადიციულ იარაღს არც სიზუსტით ჩამოუვარდება და არც სროლის სისწრაფით. პლასტიკური პილავის კიდევ ერთი უპირატესობა ჩვეულებრივთან მისი მაღალი თერმობუნებაცაა, რაც მჭიდროს ვაზნების დენით თუთინებური აალებების რისკს ამცირებს.

რაც ყველაზე მთავარია, ტყვიამფრევეს მასის შემცირება ჯარისკაცებს საქმეს უადვილებს. მაგალითად, ტყვიამფრევე M249 200 გასროლაზე გაანგარიშებულ ვაზნების ყუთთან ერთად 10 კგ-ზე მეტს იწონის. ერთი ამდენი დამატებით საბრძოლო აღჭურვილობაზე მოდის. საერთო ჯამში მეტყვიამფრევეს საკმაოდ მძიმე ტვირთის ტარება უწევს, რაც უარყოფითად აისახება როგორც მისი ჯანმრთელობაზე, ისე საბრძოლო შესაძლებლობებზე.

რა მოხვევა იარაღით თაგას...

ბუნდესვერის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე სასამართლოს წინაშე მძიმე ბრალდებით წარდგება — გასულ წელს, ავღანეთის მისიაში მონაწილეობისას, მან თანამებრძოლი მოკლა. როგორც ბრალდებული იხსენებს, ავღანეთში ბლოკოსტზე ყოფინისას მისი პისტოლეტის მექანიზმი გაიჭვდა და მჭიდრო მოსახსნელად ქვემოდან ძლიერად ამორტყა, რასაც გასროლა მოჰყვა. ამ ვერსიას უარყოფს ექსპერტინა, რომლის თა-

ნახმად, პისტოლეტი გამართულად მუშაობდა და მკვლელობის მიზეზი კი იარაღთან უღებრი დამოკიდებულება გახდა. გამოძიების ვერსიით, კარავში სამხედროების იარაღით თამაშობდნენ, როცა ბრალდებულმა შემთხვევით ჩამკვტი ბუნხს და გაისროლა. როგორც ირკვევა, მკვლელიცა და დაღუპულიც დიდ ხნის მგობრები ყოფილან. ავღანეთში გამგზავრებადღე ორვეს ერთად ბავარიში, სამთი მსროლელთა ქვედანაყოფში უმსახურია.



ახალი საიფხე ახალგადასა ქი სნაიპერად აქმევეს

ფირმა Lockheed Martin-ი სრულად ახალ სამიზნე მუშაობას ასრულებს, რომლის გამოყენებითაც სროლა ზემდონეწვითი ზუსტად გახდება. მისი მუშაობით ჯარისკაცი მოწინააღმდეგის განადგურებას 600 მეტრამდე ისეთვე სიზუსტით შეუძლებს, როგორც ამას პროფესიონალი სნაიპერი ახერხებს. სამიზნე DiNGO (Dynamic Image Gunsight Optic)-ში ფოტოსი ავტომატურად, იმისდა მიხედვით იცვლება, თუ რა მანძილია მიზანში ამოღებულ ობიექტამდე. შედეგად, ჯარისკაცებს ვეფქტურად სროლა ერთდროულად როგორც ახლო, ისე შორ მანძილზე შეუძლებათ. რაც მთავარია, ცეცხლის წარმოებისთვის ობიექტის წარმარა შეცვლა, სამიზნის ქარის სიჩქარესა და მიმართულებაზე მომართვა, მანძილის განსაზღვრა და ა.შ. აღარ დასჭირდება.

მისი ამოცანა მხოლოდ ობიექტის მიზანში ამოღება იქნება, დანარჩენზე კი ტექნიკა იზრუნებს. DiNGO-ს შექმნა ამერიკელმა ერავსა და ავღანეთში მიღებულმა ცულმა გამოცდილებამ უკარნახა, სადაც ჯარისკაცებს მოწინააღმდეგესთან შებმა 30-დან 800 მეტრ მანძილზე უწყდათ. ტრადიციული ავტომატები შორ დისტანციებზე სიზუსტით არ გამოირჩევა და ამერიკულ ქვედანაყოფებს ნახევრად ავტომატური ზუსტი შაშხარის შეიარაღებული გამოცდილი მსროლელებით გამოიარება სჭირდება. სამაგიეროდ, ახლი მანძილზე ბრძოლების დროს პრიორიტეტა უკეთესი სროლა გახდა. DiNGO-ს გამოყენებით კი ჯარისკაცებს ბრძოლა როგორც შორ, ისე ახლო მანძილზე გაუადვილებათ.





თმის დაწყების ზღვარზე... საქართველო

თმის დაწყების ზღვარზე...

ცხინვალის მთავრობის ნაწილის ევაკუაცია იმაზე მიანიშნებს, რომ სეპარატისტები თმის დასაწყებად ემზადებიან



რეაქციები „არსენალი“ 2008 წლის 8 აპრილს გამოქვეყნებულ საშუალოდ გადასახილველ არსებობს...

„არსენალის“ №59 ნომერი 2008 წლის 8 აპრილის დღით გვიდა სტამბოდან, მაგრამ ამ ნომრის დიდი ნაწილია შეთხვედრებულ ვერ მიღწეა, რადგან 8 აპრილის დღით დასრულდა გახურებული ბრძოლა იყო ცხინვალის მთავრობისა და იწყებოდა XXI საუკუნის პირველი ომი რუსეთ-საქართველოს შორის.

აგვისტოს ომმა მწვევ პრობლემები გაუჩინა საქართველოს არა მარტო დღეს, არამედ უახლოეს რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. თმის საწინააღმდეგო გეინდა ამინარიდი მოვიყვანოთ 2008 წლის 8 აგვისტოს „არსენალის“ ერთი პატარა სტატიიდან „თმის დაწყების ზღვარზე“.

სტატიის ავტორი საქართველო-რუსეთის საზღვრის წყნეთის მონაკვეთიდან წინა დღის ჩამოსული იყო და ჟურნალის ბეჭდვის სპეციფიკიდან გა-

აგვისტოს დასაწყისში ცხინვალის მთავრობის, და მთლიანად კონფლიქტის ზონაში, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. წინასწარი მინაცემებით, ორმხრივი ინტენსიური სროლის შედეგად ოსური მხრიდან დაიღწა და დაიჭრა 15 კაცი, ქართულ სოფლებში კი 9 მოსახლე დაიჭრა ოსების ნახრული ნაღებისა და ქურების ნამსხვერვებისგან.

ეს 2004 წლის ზაფხულის საბრძოლო მოქმედებების შემდეგ ყველაზე მწვევ შეთარაღებული დაბრუნებისგან იყო და არსებობს საშიშროება, რომ ოკუპირებული ფართობის მფლობელი საბრძოლო მოქმედებები გადაიზარდოს.

სეპარატისტულმა ცხინვალმა 2,5 ათასზე მეტი მოსახლე ჩრდილოეთ ოსეთში გაიხიზა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სეპარატისტების შეთარაღებული რაზმები საბრძოლველად ემზადებიან.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონფლიქტის ზონაში მდგარმა შერეული სამშვიდობო ძალების ჩრდილოეთურმა პატალიონმა 1-2 აგვისტოს დღეებში სეპარატისტებს დაუჭირა მხარი და ცხცხელი გაუხსნა ქართული სამშვიდობო პატალიონის პოზიციები. უკრეფლობით, რუსული სამშვიდობო პატალიონი ასე ამკარად შეიძლება არ ერევა ბრძოლაში.

მაგრამ თუკი სიტუაცია კიდევ დაიძაბა, ის მხარს დაუჭერს სეპარატისტებს. ამის სავალალო გამოცდობა უკვე არსებობს.

თუკი კონფლიქტის ზონაში დაბრუნების სპორტულმა მხარეებმა დაიწყეს მძიმე საბრძოლო ტექნიკის განსაკუთრებით კი მსხველკალიბრანი არტილერიის თავმოყრა, მაშინ ეს ომის დაწყების მაუწყებელი იქნება.

თბილისმა უნდა გაითავისწინოს, რომ ცხინვალთან ორმხრივი ინტენსიური სროლის დაწყების პარალელურად გახსნაღწევა აუხარო სეპარატისტების შეთარაღებული პროვოკაციები კოდორის სივრცის ზემო ზონასთან, ასევე გაღის რაიონში.

შეიარაღებული პროვოკაციების მიზანი ქართული მხარის ძალების გახლეჩა, მათი ორ ფრონტზე ბრძოლაში ჩაბმა იქნება.

პარალელურად, როცის გვირგვინი გავლეთ ოსი სეპარატისტები მიღებენ დამაკლები ძალების რუსეთიდან როგორც ცხინვალის, ისე სამხრეთ ტერიტორია და ტბორა-წამლის სახით. ამიტომაც საბრძოლო მოქმედებების გაკონტროლების შესახებ, თუკი არ ჩაიკეტა როცის გვირგვინი, ქართულ მხარეს ძალიან გუჭირდება.



XXI საუკუნის ტექნიკა საკუთარ მიწაზე...

მაგრებული, თუმცა მათ ვერ შეძლეს ხეობის შენარჩუნება, რაც უფრო პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული, ვიდრე წინადა სამხედრო.

მეორე მხრე, სწორედ სენაკის მე-2 ქვეითი ბრიგადის სამფრელოდან ცხინვალთან გადმოსროლამ მთლიანად გააშთა დასავლეთი მიმართულება, რას გამოც თბილისმა ვერ შეძლო მეორე ფონზე ელექტრონული წინააღმდეგობის გაწევა და რუსულ-აფხაზურმა ძალებმა უპრობლემოდ დაიკავეს როგორც კოდორის ხეობის ზემო ზონა, ისე დროებით ზუგდიდი, ფოთი და სენაკის სამხედრო ბაზა.

„პარალელურად, როცის გვირახს გავლით ოსი სეპარატისტები მიიღებენ დამატებით ძალებს რუსეთიდან როგორც მებრძოლების, ისე სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის სახით ამიტომაც საბრძოლო მოქმედებების გაკვიანურების შემთხვევაში, თუკი არ ჩაიკეტა როცის გვირახი, ქართულ მხარეს ძალიან გაუჭირდება“, — განა ასე არ მოხზება? მართლაც როცის გვირახს არ გახვდა ის ძირითადი მიზეზი, რამაც რამდენიმე საათში გადაწყვიტა ცხინვალის ომის ბედი?

მიუხედავად ამდენი ვარაუდის გამოთვლებისა, სამი წლის წინანდელ სტატიაში ჩვენ არ დავცივებოდა იმ საშეშობაზე, რასაც რუსეთის რეგულარული ვარების საქართველოს წინააღმდეგ ომში აშკარა ჩაბმა წარმოადგენდა.

ამის შიში, ბუნებრივია, იყო, მაგრამ მაინც რჩებოდა იმედი, რომ კრემლი ასე პირდაპირ არ წავიდიდა დასავლეთის წინააღმდეგ და საქართველოს არ დაუწყებდა ომს. თუმცა, როგორც აღმინდნა, მოსკოვი ვა-ბანკზე წავიდა, გადაბიჯა დასავლეთის აზრს და გაკეთა ის, რაც სურდა.

ირაკლი ალადაშვილი

მომდინარე, ზემოხსენებული სტატია 4 აგვისტოს დაწერა, კურნალის სტამბაში გაეზაუნამდე რამდენიმე საათით ადრე.

სამი წლის წინანდელი სტატიის წაკითხვის შემდეგ, მკითხველს შეეძლება გაეულოს პარალელები და თვად განსაჯოს, გამართლდა თუ არა ის საფრთხეები, რაზეც ამ სტატიაში ეწეროდა.

ეს 2004 წლის ზაფხულის საბრძოლო მოქმედებების შემდეგ ყველაზე მწვევე შეიარაღებული დაპირისპირება იყო და არსებობს საშიშროება, რომ ყოველდღე ეს ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდოს“, — ჩვენდა სამწუხაროდ, ეს შიში გამართლდა და ერთი შეუდევით ლოკალური ორბზრევი სროლა, რომლის მაგვარც მანამდეც ცხინვალის რეგიონში არაერთხელ მოიხდარა, მართლაც გადაიზარდა რუსეთ-საქართველოს ფართომასშტაბიან ომში.

„ჯერჯერობით რუსული სამშვიდობო პატროლიონი ასე აშკარად არ ერევა ბრძოლაში, მაგრამ თუკი სიტუაცია კიდევ დაიძაბა, ის მხარს დაუჭერს სეპარატისტებს“, — ეს ვარაუდიც ახდა, როდესაც ზემო ნიჟნიდან ცხინვალისკენ დაძრულ ქართულ ჯავშანკოლონას რუსმა ცისფერჩაფხუტაინებმა და ადგილობრივმა შეიარაღებულმა სეპარატისტებმა „ზემო გორილიკიანის“ (რუსული სამშვიდობო პატროლიონის ერთ-ერთი ბაზა) გაუსხნეს ცეცხლი. საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ კი ეს ფაქტი რუსეთის პროპაგანდის კოზირი გახდა — ქართველი აგრესორები ხოცუვენ რუს მშვიდობისმყოფელებს და მათ გადასარჩენად რუსეთიდან ცხინვალში შეიარაღებული დანაყოფები უნდა გადავისროლიოთ.

„თუკი კონფლიქტის ზონაში და-

პირისპირებულმა მხარეებმა დაიწყეს მძიმე საბრძოლო ტექნიკის, განსაკუთრებით კი მსხვილკალიბრიანი არტილერიის თაგმურა, მაშინ ეს ომის დაწყების მაუწყებელი იქნება“, — მართლაც, ქართულ მხრიდან ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების RM-70-ებისა და Lar-160-ების, ხოლო რუსებისგან ურან-ებისა და მით უმეტეს, Точка-У და Искандер-ს ტიპის სარაკეტო კომპლექსების ჩართვის შემდეგ ომი მთელი ძალით განაღდა.

„თბილისმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ცხინვალთან ორბზრევი ინტენსიური სროლის დაწყების პარალელურად გახშირდება აფხაზი სეპარატისტების შეიარაღებული პროვოკაციები კოდორის ხეობის ზემო ზონასთან, ასევე გადის რაიონში შეიარაღებული პროვოკაციების მიზანი ქართული მხარის ძალების გახლეჩა, მათი ორ ფონზეც ბრძოლაში ჩაბმა იქნება“, — კოდორის ხეობაში ამ მომენტში სამაიათსიანი (ან შეიძლება უფრო მეტიც) ქართული პოლიციურ-სამხედრო შენაერთი იყო გა-



ქართული შეიარაღების დიდი ნაწილი მიწისბანამდეგამ აღდავად წავიდა

მოის უაღბოში ვითარება ფლავა



აგვისტოს ხუთდღიანი ომი ჩვენმა მოწინააღმდეგე სამხედრო ფოლკლორის ახალი „შედევრებით“ გაძლიერებისთვის ისე ეფექტურად გამოიყენა, რომ ზოგიერთი ნიშნში დღესაც კი განსჯის საგნად რჩება.

საქართველოსთან ომის თემაზე შეთხზულ ზღაპრებსა და იგავებს შორის გამოჩენული ადგილი დაიკავა მითმა „XXI საუკუნის პირველ საზღვაო ბრძოლაზე“, რომელიც თითქოს 2008 წლის 10 აგვისტოს ფოთის მახლობლად მოხდა.

სამხედრო-საზღვაო საქმეში ასე თუ ისე ჩახედული პირებისგან იმ „საზღვაო ბრძოლის“ ამბავი ახლა ცოტის თუ სეკრა, მაგრამ თავის დროზე რუსულ ინფორმაციაზე დაყრდნობით „ფოთის ბრძოლას“ სტატიები მიუძღვნეს ლიტვებს, პოლონეის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების ჟურნალებმა.

მართალია, ხუთდღიან ომში ზღაზე საბრძოლო მოქმედებები მასშტაბური არ ყოფილა და ძირითადად, ფოთის პორტის ბლოკირებითა და აფხაზეთის სანაპიროზე დესანტის გადასხმით შემიფარვლა, მაგრამ ომის შედეგი ქვეყნისთვის ბევრად უფრო მძიმე და მტკივნეული აღმოჩნდა:

— რუსმა დიქტანტებმა ფოთის სამხედრო პორტში გემოსადგომებთან ააფეთქეს და ჩაიძირეს სამხედრო-საზღვაო ძალების საარტილერიო კატარალები „თბილისი“ და „დიოსკურია“, მკაცრად კატარდა „წყალტუბო“, სა-

ნაპირო დაცვის საპატრულო ხომალდი „აიეთი“, საპატრულო კატარალები P-104 და P-105 „ორბი“; გაანადგურეს და გაძარცვეს სანაპირო ინფრასტრუქტურის ობიექტები; წაიღეს რამდენიმე ათეული გასაბერი რუხინის ნავი, დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის შეიარაღება და საბრძოლო მასალა;

— არსებობა შეწყვეტა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებმა, ხოლო პირადი შემადგენლობა და მცურავი საშუალებები შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვას გადაეცა;

— შესაზღვრე პოლიციელებს ახლა სამხედრო მესღაურების მოვალეობათა შეიკისება უხდებია, რაც თავისთავად მარტვი არ არის და ზოგჯერ მათ შესაძლებლობებს აღემატება (წყალტუბო სურციის კონტროლი, საპაერო თავდაცვის ორგანიზება, საზღვაო საფრთხეზე რეაგირება და სხვ.);

— საქართველომ დროებით შეაჩერა



ფოთში ჩაძირული კატარალებისთვის პოლიციელებმა ალექსანდრე ლებუძმა პრეზიდენტ დმიტრი მედვედევისგან ვიწოდო მიიღო

შეიზღვისსპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ტაქტიკური ჯგუფის შემადგენლობაში (BLACKSEAFOR) მონაწილეობა და რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ მიმდინარე წელს სანაპირო დაცვის კატარდა „სოხუმმა“ სწავლებებზე საქართველო წარმოადგინა;

— ოკუპირებული აფხაზეთის სანაპიროზე ოჩამჩირეში რუსებმა ადაღენეს საბჭოთა პერიოდის სასაზღვაო-საზღვაო ბაზა და იქ სანაპირო დაცვის დეიბიზინი განალაგეს;

— თუ ადრე ქართველი მესღაურები საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აფხაზეთის პორტებში შესულ სავაჭრო გემებს ზღაში ხშირად აკეებდნენ, ახლა მსგავსი ოპერაციების ჩატარება შეუძლებელია;

— რუსეთმა აფხაზეთის სანაპირო ზოლის უსაფრთხოების მიზნით ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე



თვდაცვის სამინისტროს სადესანტო გასაბერი რუზინის ნაგები რუსმა მედსანტებმა ნოვოროსიისკში ალაფად წაიღეს

წყლებში შვიი ზღვის ფლოტის საბრძოლო ხომალდების მორიგეობა შემოიღო; 2008 წლამდე ქვეყნის თვდაცვასა და უსაფრთხოებაზე მიღებული არც ერთი დოკუმენტი ომის შესაძლებლობას და მით უფრო რუსეთთან არ განიხილავდა.

მიუხედავად ამისა, 2005 წელს თვდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული „იროზნელო სამხედრო სტრატეგია“ სამხედრო-საზღვაო ძალების დანიშნულებას შეიარაღებული საზღვაო და სანაპირო ბრძოლების წარმოებაში ხედავდა.

ორი წლის შემდეგ ახალმა თვდაცვის მინისტრმა „თვდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში“ სამხედრო-საზღვაო ძალების დაუსახა: საზღვაო ზოლში არსებული საზღვაო კომუნიკაციების დაცვა; საქართველოს შიდა წყლების, პორტებისა და სასაზღვაო პერიმეტრის დაცვა თევზისჭიმებისა და სხვა საფრთხეების შემთხვევაში;

ახეთი ამოცანების შესრულება დავალებული ჰქონდა სამხედრო-საზღვაო ძალებში შემავალ ფლოტს, რომლის მცურავ საშუალებათა უმეტესობა დროის დიდ ნაწილს გემსადგომებთან ატარებდა და შექმნის დღიდან (1992 წელი) გაუქმებამდე (2008 წელი) ერთი ხეივანი საზღვაო სწავლებაც კი არ იღრესებოდა.

ფლოტის მშენებლობაში დაშვებული უამრავი შეცდომა გახდა იმის მიზეზი, რომ 2008 წლის ავგისტოში მტრის



სარაკეტო ფრეგატებსა და კორვეტებს პირისპირ წერილკალიბრისა არტილერიით აღჭურვილი ძველი კატარები შერჩა.

სამაგვიროდ გასაბერი რუზინის ნავისა და წყლის მოტოციკლეტების შესაქმნი თანხები გამოიყენა და ერთობ რისიკიანი დესანტის გადასხმაც იყო გადწყვეტილი, რომელსაც აუცილებლად მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვებოდა.

აღრ თუ გვიან, სამხედრო-საზღვაო ძალების აღდგენის საკითხი აუცილებლად დადგება. ქვეყნა თვის მომავალს NATO-ში ხედავს. ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან სამხედრო-საზღვაო სფეროში თანამშრომლობა სპეციფიკური და ბევრისმოძველია, რაც სანაპირო დაცვის ფუნქციებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ავგისტოს ომს დიდი ცვლილებები რუსეთის ფლოტშიც მოჰყვა და მთავარი მიზეზი აფხაზეთში ნოვოროსიისკიდან მე-7 საპაერო-სადესანტო დივიზიის ქვედანაყოფთა გადმოყვანისა წარმოქმნილი სირთულეები იყო.

რუსეთს აფხაზეთში მჭიდრო ფრთხილ სწრაფი გახსნით ცხივრულიან მიქმედი ქართული არმიის დაწოლის შესუსტება სურდათ.

ნოვოროსიისკში მე-7 დივიზიის პირადი შემაღდენლობისა და საბრძოლო ტექნიკის დიდ სადესანტო ხომალდებზე — „ცეზარ კუნიკოვა“ (150 კაცი და ტექნიკის 20 ერთეული) და „სარატოვზე“ (350 კაცი და ტექნიკის 30 ერთეული) დატვირთვას, ოჩაჩინოვდე ცურვას (15 საათს გაგრძელდა) და იქ სანაპიროზე გადმოტვირთვას დაახლოებით 26 საათი დასჭირდა.

ომიდან რამდენიმე ხნის შემდეგ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა ადმირალმა ვლადიმერ ვისოცკიმ ფლოტის პრობლემაზე საუბრისას ისიც თქვა, რომ შვიი ზღვის ფლოტს თანამედროვე სადესანტო ხომალდები რომ ჰყოლიდა, საქართველოსთან ოპერაციაში 26 საათის ნაცვლად 40 წუთს დახარჯავდა. ადმირალმა იგულისხმა, რომ სადესანტო ხომალდი მედსანტებითა და საბრძოლო ტექნიკით საქართველოს სანაპიროსთან

შადრონის რეიში იქნებოდა და ბრძანების მიღებისთანავე მოქმედებას დაიწყო.

ვისოცის სიტყვები საფრანგეთთან „მისტრალის“ სერიის ხომალდების შექმნის თაობაზე მოლაპარაკებათა დასაწყისი გახდა და ცოტა ხნის წინ შეთანხმებაც გაფორმდა.

საფრანგეთი რუსეთს 1,2 მლრ ვეროდ „მისტრალის“ სერიის ორ ხომალდს აუგებს და რუსეთის ვერფებზე კიდევ ორი ხომალდის მშენებლობაში დაეხმარება.

ფრანგული პროექტის ხომალდების ბაზრებისთვის წყნარი ოკეანის ფლოტი და პორტი ვლადივოსტოკა შერჩეულია.

ახეთი გადაწყვეტილება ამ გარიგების გამო ზოგიერთი ევროპული ქვეყნის შემოღობვით არის გამოწვეული.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რუსული „მისტრალი“ შვე ზღვაში არ შეიძლება და აქ ძალის დემონსტრირებას არ მოახდენს. ფრანგული ხომალდები ბორტზე მყოფ მედიანტეხებით ერთად ზღვაში ხანგრძლივ ვიფნაზეა გათვლილი.

დაიგემა შვიი ზღვის ფლოტის წყალზე და წყალქვეშა სახომალდო მუშადგენლობის გააძლიერება.

მშენებლობის პროცესშია სარაკეტო ფრეგატები „ადმირალ ფლოტა კასატინოვი“ (პროექტი 22350) და მისი მსგავსი მუყობი შვეგანა 2014 წლისთვის არის მოსალოდნელი.

2014-15 წლებისთვის იგეგმება ასევე მშენებლობის სტადიაშია მყოფი სარაკეტო კორვეტების „პროკორისა“ და „სპოობნის“ (პროექტი 22385) დასრულება.

რამდენიმე დღის წინ მიღებული



ამერიკული კრეიზერის ვიზიტმა მოსკოვი შეაფთოთა

გადაწყვეტილებით ფლოტს 11356-ე პროექტის რამდენიმე ფრეგატიც დაემატება და მათ შორის სამის — „ადმირალი ესენის“, „ადმირალი გრიგორევიჩისა“ და „ადმირალი მაკაროვის“ აგება დაწყებულია.

შარშან საფუძველი ჩაეყარა 636-ე პროექტის წყალქვეშა ნავი B-261 „ნოვოროსისისკს“, რომელიც შვიი ზღვის ფლოტს 2013 წლისთვის დაემატება. განზრახულია კიდევ ხუთი მსგავსი წყალქვეშა ნავის მშენებლობა.

გარდა ამისა, რანგით უფრო დაბალი ხომალდებითა და კატარღებით შეესებაც არის გადაწყვეტილი.

ომის შემდეგ აფხაზეთის წყლებში რუსეთის საზღვაო ძალების ყოფნამ მუდმივ ხასიათი მიიღო. ახლა სეფასტოპოლისა და ნოვოროსისისკის სამხედრო-საზღვაო ბაზებზე მიწერილი კორ-

ავგისტოს ომის პარადოქსი — კოდორის „გათვისუფლების“ შედეგით 3 ათასზე მეტი კაცის დაჯილდოება

ვეტისა და მტრალვის კლასის ხომალდები ოკუპირებული აფხაზეთის სანაპიროსთან ბიჭვინთისთან, ახალ ათონთან, სოხუმსა და ოჩამჩირეთთან მონაცვლეობით პატრულირებენ.

ბოლო პატრულირებაზე იელისში მტრალვი ხომალდი „კოვროვეცი“ შეინიშნეს.

ოჩამჩირეში რუსული სანაპირო დაცვის დევიზონი განაგრძობს შეგებას და ამჟამად დევიზონის განკარგულებაშია „სობოლის“ ტიპის 3 (N205, N206 და N208) და „მანვლესის“ ტიპის 4 (N608, N609, N611 და N613) კატარღა.

წლის ბოლომდე დევიზონი კიდევ 2-3 კატარღით შეივსება და სამტატო რაიონებით სრულად დაკომპლექტდება.

ავგისტოს ომმა ინტერესი შვიი ზღვის მიმართ სხვა ქვეყნებსაც და პირველ რიგში აშშ-ის ფლოტის გაუღო.

ენისში ბათუმს ჯერ ამერიკული სარაკეტო კრეისერი CG 68 Anzio, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მორეუ სარაკეტო კრეისერი CG 61 Monterey ეწვია.

ავგისტოს ომის შემდეგ ამერიკის ფლოტის რიგით მე-12 ხომალდის — „მონტერეის“ ვიზიტი საქართველოს პორტში რუსეთის საგარეო უწყებების შემოღობვის მიზეზიც კი გახდა.

მაგრამ შემოიღობა მართო პროტესტით არ შემოიფარგლა. ამერიკულ „სიცოს“ შვიი ზღვის ფრეგატი „ქერი“ დასდევდა, „მონტერეის“ კი თვალყურს ადევნებდა სადარავო ხომალდი „პიტ-ლივი“ სარაკეტო ხომალდ „სამუიანს“ ერთად.

რუსული ხომალდები კავკასიის სანაპიროს მახლობლად იყვნენ და ბათუმთან თურქეთის სანაპირომდე სვრცეს აკონტროლებდნენ.

თამარ ჩანაიძე



УДОСТОВЕРЕНИЕ
.....
приказом.....
от..... 20.... г. №.....
награжден медалью
«ЗА ОСВОБОЖДЕНИЕ
КОДОРА»
М.П.



ჩაგრა ღვთაძე
**ჩაგრა ღვთაძე მოხიბლული
გამო იმის უნახავა, რომ 2008
წლის ავგისტოს ომის დროს
ჩაგრა 12 საავიაციო გოგნი
ჩაშრავდა გამო-თავილინი-
ჯივიანი ნავთობსადენის
აზერბაიჯანის პონაქეთზე!**

ავიაციის ომის დროს ჩაგრის აზერბაიჯანის ღვთაძე...

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ავგისტოს ომის ბფერი დეტალი მიუხედავად სამი წლის გასვლისა, ვერ კიდევ საიდუმლოდ რჩება.

ერთ-ერთს ამ დღეებში მოხვინა ნათული ბაქოს სამხედრო ანალიტიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა, გადამდგრამა პოლკოვნიკმა ილიდრიმ მამედოვმა. ერთ-ერთი აზერბაიჯანული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში მან სენსაციური ინფორმაცია გამჟღავნა.

ილიდრიმ მამედოვის მტკიცებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის დროს მოსკოვმა საბრძოლო მოქმედებების არეალი მებრძულ აზერბაიჯანშიც გადაიტანა და რუსულმა საბრძოლო თვითმფრინვებმა აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში გამავალი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან 12 საავიაციო ბომბი ჩამოყარეს, რომელთაგან 4 აფეთქდა!

არ არსებობს საფუძველი, აზერბაიჯანის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკისა და ამჟამად დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტის ეს განცხადება დეზინფორმაციად მივიჩნიოთ. ადრეც იყო ეჭვი, რომ როდესაც რუსულმა მოიერიშეებმა და ბომბდამშენებმა საპაერო დარტყმები საქართველოს საზღვრისპირა რაიონებს მიამყენეს, შეიძლება მათი მებრძოლი, კერძოდ კი აზერბაიჯანისა და თურქეთის სასაზღვრო მონაკვეთებიც დაბომბეს. აზერბაიჯანული სამხედრო ექსპერტის ეს

განცხადება ადასტურებს ჩვენს ეჭვს.


ავგისტოს ომის დროს რუსეთის ავიაციამ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სიახლოვეს შემდეგი ობიექტები დაბომბა:

— 8 ავგისტოს სამჯერი (16:30-ზე,

17:00-ზე და 17:35-ზე) დაიბომბა მარნეულის სამხედრო-საპაერო ბაზა, რომელიც აზერბაიჯანის საზღვრიდან პირდაპირი ხაზით 26 კმ-ითაა დაშორებული.

— 9 ავგისტოს 01:20 სთ-ზე გარ-

2008 წლის ავგისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დაწყება რომ შეიძლება კვებშიც ვიფიქროს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ესპექლუატაციასთან, რამდენიმე ფაქტორიც მიუთითებს. სანამ რუსული ავიაცია დაბომბავდა ნავთობსადენის მიმდებარე ტერიტორიას, საქართველოს და, როგორც ახლა გირკვა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც, 2008 წლის 5 ავგისტოს თურქეთში გამავალი ამ სტრატეგიული მნიშვნელობის ნავთობსადენზე, ქ. ერზინჯანთან, სატუმბ სადგურზე მძღვარი აფეთქება მოხდა, რამაც დიდი ხნით შეაჩერა ნავთობის გადაქაჩვა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სიგრძე 1667 კმ-ია, საიდანაც აზერბაიჯანზე 443 კმ მოდის, საქართველოზე — 248 კმ, ზოლო თურქეთზე — 1076 კმ. ნავთობსადენმა წელიწადში 50 მლნ ტონა ნავთობი უნდა გაატაროს.



ჩამენი დღესი: 1999 წლის

1-ელ ოქტომბერს აზერბაიჯანის ზაქათალის რაიონის სოფ. გიმირის ახლოს მძლავრი აფეთქება მოხდა. აფეთქების ადგილას რამდენიმე მეტრანი კრატერი წარმოიქმნა. თავდაპირველად აზერბაიჯანელი სამხედროები ფიქრობდნენ, რომ აფეთქება იმ რუსული საბრძოლო თვითმფრინვიდან ჩამოვარდებულმა მსხვილი კალიბრის საუციაციო ბომბმა გამოიწვია, რომლის ეკიპაჟს ორიენტაცია აერია და საპაერო დარტყმა ჩენეთი-დავლესტნის საზღვრის ნაცვლად (სადაც მაშინ ბრძოლები მიმდინარებდა) აზერბაიჯანის ტერიტორიას მიაყენა.

აფეთქების ადგილიდან ამოღებული ფრაგმენტების ექსპერტიზის შემდეგ კი აზერბაიჯანელმა სამხედროებმა დაასკვნეს, რომ მათ ტერიტორიაზე „მიწა-მიწა“ კლასის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების 8K14 СКАД-ის ტიპის ბალისტიკური რაკეტა აფეთქდა.

აფეთქების ადგილზე წარმოქმნილი კრატერის შესწავლის შემდეგ დაადგინეს, რომ რაკეტა ჩრდილოეთიდან მოფრინდა. საუარაუდოდ, რუსეთის ფედერალურ ძალებს ამ სარაკეტო დარტყმით ბასავეის დაჯგუფების განადგურება სურდათ, მაგრამ არანაკლებ 100 კმ-ით(!) ააცილეს მიზანს და რაკეტა აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ რაიონს ესროლეს



ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ეტვობა
კოდეზ ბევრჯერ გახდება კრემლის სამიზნე...


დაბნის რაიონის სოფ. გარჩინთან, საუარაუდოდ, ნავთობსადენს უმიზნებდნენ, მაგრამ ააცილეს. ეს აზერბაიჯანის საზღვრიდან ათიოდე კმ-ში მოხდა.

— 11 აგვისტოს 05:00 სთ-ზე დაბომბა კახეთში, დელოფლისწყაროს რაიონში მდებარე დიდი შირაქის ყოფილი სამხედრო აეროდრომი, რომელიც დიდი ზანია აღარ ფუნქციონირებს.

ამ ადგილიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე 25 კმ-ია.

აზერბაიჯანელი სამხედრო ექსპერტი თავის სენსაციურ განცხადებაში არ აზუსტებს რუსული თვითმფრინავების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაბომბვის ზუსტ თარიღს. საუარაუდოდ, ეს სწორედ მაშინ უნდა

სტრატეგიული მნიშვნელობის ნავთობსადენმა აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს საერთო ინტერესები გაუჩინა



12 წლის წინ რუსმა სამხედროებმა შეცდომით ერთი ასეთი „სკად“ ჩქინეთის ნაცვლად აზერბაიჯანში ჩააგდეს...



მომხდარიყო, როდესაც დაიბოძა საქართველოს ტერიტორიაზე სოფ. განიანთან გამავალი ამ ნაუთოსადენის ნაწილი, ანუ 9 აგვისტოს, გამთენიისას.

უცნობია ჩამოყრილი ბომბების კალიბრი, მაგრამ იმის გამო, რომ 12-იდან მხოლოდ 4 აფეთქდა, დანარჩენების გაუფრთხილებლობას ადვილი იქნებოდა მათი ზუსტი კლასიფიკაცია, თუნდაც მიწაში ღრმად ჩასულიყვნენ. ასევე უცნობია, მოჰყვა თუ არა რუსულ საჰაერო დაბომბვას მსხვერპლი და იყვნენ თუ არა დაჭრილები.

რატომ მალავს ამ მნიშვნელოვან ფაქტს აზერბაიჯანის ხელისუფლება ადვილი მისახვედრია — მას არ სურს კიდევ დაუპირისპირდეს რუსეთს, რომელიც ისედაც აშკარად უჭერს მხარს სომხეთს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში.

ამასთან, როგორც ბაქოში ბოლო

ჩვენი დონი: მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა უარყო 1999 წლის 1-ელ ოქტომბერს „სკადის“ რაკეტით აზერბაიჯანის ტერიტორიის დაბომბვა, „არსენალმა“ ერთი საინტერესო დეტალი გაარკვია: რუსული წყაროების თანახმად, ჩქინეთის მეორე ომის დაწყებისას კაპუსტინ-იარის ცნობილ სარაკეტო პოლიგონზე დისლოცირებული რუსეთის სახმელეთო ჯარების სარაკეტო შეიარაღების საბროლო გამოყენების მე-60 სასწავლო ცენტრის ბაზაზე შეიქმნა 630-ე ცალკეული სარაკეტო დივიზიონი, რომლის შეიარაღებაში იყო სწორედ 8K14 ტიპის ბალისტიკური რაკეტებით შეიარაღებული სარაკეტო კომპლექსები. დივიზიონი ჩქინეთის საზღვართან გადაისროლეს და სასტარტო პოზიციები სოფელ რუსკაიასთან განათავსა, საიდანაც 1999 წლის 1-ელ ოქტომბრიდან 2001 წლის 15 აპრილამდე სულ 250 ბალისტიკური რაკეტა გაუშვა (დივიზიონს მეთაურობდა პოდპოლკოვნიკი ი. ზახარჩენკო).

როგორც ჩანს, 1-ელ ოქტომბერს, რაკეტების პირველივე სტარტის დღეს, გათვლის არასწორი მოქმედებების გამო „სკადის“ ბალისტიკურმა რაკეტამ „ზედმეტად“ 100 კმ-ზე მეტი გაიფრინა და დაღესტან-ჩქინეთის საზღვრის ნაცვლად აზერბაიჯანის ზაქათალის რაიონში ჩამოვარდა.

სხვათა შორის, 2005 წელს სწორედ ამ 630-ე ცალკეულმა სარაკეტო დივიზიონმა რუსეთის არმიამ პირველმა მიიღო შეიარაღებაში ახალი ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსები 9K720 Искандер-ები, რომელთაგან ორი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოში გამოისროლა: ერთი რუსული „ისკანდერი“ ვაზიანის რაიონში ჩამოვარდა, მეორე კი აფეთქდა გორის ცენტრში, რომლის კაზეტურმა ქოზინმა რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე იმსხვერპლა და დაჭრა

ჩვენი დროსი: ოკრატვილ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსის 9K72 მანხეიცი-ის შეიარაღებაში შედის 5862 კგ მასის ერთაფეხურიანი, თხვედასაწვავიანი რაკეტა საიდუმლო ინდექსით 8K14 (საინფორმაციო საშუალებებში მას P-17-ად მოიხსენიებენ, საექსპორტო გაყიდვებისას P-300-ად, ხოლო NATO-ს კლასიფიკაციით კი SCUD-B SS-1-ია).

990 კგ-იანი რაკეტის ფრენის მაქსიმალური სიშორე 300 კმ-ია, მიზნიდან აცილების საგარაულო წრე — 450 მ, რასაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს რაკეტაზე ბირთვული ქობინის დაყენების შემთხვევაში.

1999 წლის 1-ელ ოქტომბერს აზერბაიჯანის ზაქათალის რაიონში ჩამოვარდა, საგარაულო ფეხსურთქობინიანი რაკეტა, რომელშიც 700 კგ-მდე ასაფეთქებელი ნივთიერება იყო.

სამხედრო აღლუმმა ცხადყო, მოსკომა ბაქოს მიჰყიდა თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-300 PMU2 Фаворит-ი, „კამაზის“ ტიპის გამწვევები სხვადასხვა შეიარაღების დასამონტაჟებლად და აქტიურად თანამშრომლობს სამხედრო-ტექნიკურ სფეროში აზერბაიჯანთან.

მაშინ, როდესაც მთიან ყარაბაღში შეიძლება მარლაც დღე-ღამეზე გა-

ჩაღდეს ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები აზერბაიჯანისა და სომხეთის არმიებს შორის, ბუნებრივია, რომ ოფიციალურ ბაქოს არ სურდეს საქართველოს გამო კრემლის გადატრეკება.

ისე კი სამი წლის წინანდელ რუსეთ-საქართველოს ომის დროს, როგორც ამბობენ, აზერბაიჯანი დაქმნარა ოფიციალურ თბილისის, თუმცა რა სახით, გასაიდუმლოებულია.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც რუსეთი სხვაისთან ომის დროს აზერბაიჯანის ტერიტორიას ბომბავს. მაგალითად, ჯერ კიდევ 12 წლის წინ, ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებისას, აზერბაიჯანის ზაქათალის რაიონში რუსეთიდან გაშვებული ბალისტიკური რაკეტა ჩამოვარდა.

2008 წლის აგვისტოში რუსული დაბომბვისგან განსხვავებით 1999 წლის 1-ელი ოქტომბრის რუსული სარაკეტო დარტყმა ოფიციალურმა ბაქომ არ დაშალა და გააპროტესტა, თუმცა მოსკოვმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გველაფერი უარყო.

P.S. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთის ავიაციამ ორჯერ დაბომბა აჭარის ტერიტორია. 9 აგვისტოს 03:05 სთ-ზე რუსულმა თვითმფრინავებმა საქართველო-თურქეთის საზღვართან დაბომბეს ბათუმთან ახლომდებარე სოფლები: შარაბიძეები და მანი, ხოლო შეიდა წუთის შემდეგ (03:12 სთ) დაბომბა ხელვაჩაურში მდებარე სამხედრო ბაზის ტერიტორიული ერთეული, თურქეთის საზღვრიდან სულ რაღაც ათითდე კმ-ში და ვეჭვობთ, რომ რუსულმა ბომბდამშენებმა, ისევე როგორც აზერბაიჯანში, შეიძლება თურქეთის საზღვრისპირა რაიონშიც შეცდომით ჩამოვარეს ბომბები. ამის შესახებ ოფიციალური ბაქოსი არ იყოს, არც ანკარას განუცხადებია, რადგან მოაჯარი შემაკავებელი აქაც რუსული ფაქტორია — რუსეთის ფედერაციასთან დაბირისპირება არც თურქეთს სურს.

ირაკლი ალადაშვილი

მიუხედავად საპაეო დარტყმებისა, ნავთობსადენის აფეთქება მოსკოვმა ვერ მოახერხა



თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ რუკაზე რუსული ავიაციის მიერ განხორციელებული დაბომბვების ადგილებია მინიშნებული

რას და რაბოვ ბოგავს რუსული ავიაცია იალბუზის ქირას

ყააკრო-ბლყაკითუი 10 ავვისოვლე რუსი პილოტების დაჩყაკვული ბაღაბზაღვა მიფინაკოვს, რისთვის?

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა 18 ივლისს დაიწვეს და 10 ავვისტომდე გააგრძელებენ სპეციალურ სწავლებას ჩრდილო კავკასიაში ყაბარდო-ბალყარეთის სამხედრო პოლიგონ „ნალიკეზე“. სწავლებაში მონაწილეობს 15 ერთეული საბრძოლო საფრენი აპარატი, მათ შორის — Ми-24 და Ми-28 ტიპის დამრტყმელი შვეულმფრენები, მოიერიშე Су-25-ები, საფრინტო ბომბდამშენები Су-24М და Су-34, გამანადგურებლები Су-27 და МиГ-29 და შორი მოქმედების ბომბდამშენ-რაკეტშიდი Ty-22М3.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სწავლების მიზანი მთავორიან რელიეფზე მართვადი და უმართავი რაკეტების მიზანში სროლის მეთოდის დაზეწა, არაოფიციალურად კი ამ სწავლებების დაწყება რიგ ფაქტორებს უკავშირდება.

საბჭოთა პერიოდში დამრტყმელი ავიაციის პილოტებს მთავორიანი რელიევის პირობებში საბრძოლველად უზბეკეთში, ჩირიკის სამხედრო აეროდრომზე აზბადებდნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა ამ მიზნით პოლიგონი ყაბარდო-ბალყარეთში, იალბუზის მთის

ძირას გახსნა, თუმცა „ნალიკად“ მონათლული პოლიგონი ბოლო წლებში დაზურული იყო. მისი აღდგენა, ერთი მხრე, უკავშირდება ყაბარდო-ბალყარეთში არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებების გააქტიურებას, რომლებიც უპირისპირდებიან რუსეთის ფედერალურ ძალებს ამ რეგიონში და

ერთმანეთის მიყოლებით აწვობენ დევრსიულ-ტერორისტულ აქტებს.

„ნალიკის“ პოლიგონზე შვეულმფრენებისა და თვითმფრინავების რუსი პილოტები ხეწენ მთავორიან პირობებში მართვადი და უმართავი რაკეტების მოძრავ და უძრავ სამიზნეებში ხუსტად სროლას, აგრეთვე უპილოტო

რუსული Ми-24-ების ყეიბაყები
დაბალ სიმაღლეებზე ფრენასა და
ხუსტ სროლას ხეწენ



სადანერგო საფერენი აპარატების გამოყენებას მთავრად.

მოსკოვში მაინაით, რომ მთავორიან რელიეფზე მოქმედების გამოცდილებამიღებულ სამხედრო პილოტებს გაუადვილებათ მთვებში მოქმედი პარტიზანული ჯგუფების აღმოჩენა და განადგურება.

მეორე მიზეზად, რის გამოც ხელახლა ამოქმედეს „ნაღნიკის“ პოლიგონი, მთავრობული ზამთრის ოლიმპიადაა, რომელიც 2014 წელს სოჭში უნდა ჩატარდეს. უკვე ცნობილია, რომ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, მუდმივი საჰაერო მონიტორინგის ჩათვლით.

მესამე და მთავარი მიზეზი, რის გა-

**საფერონტო ბომბდამშენი Cy-24M-ი
საავიაციო ბომბების ჩამოფრის დროს**



C-25 ტიპის უმარათვი რაკეტების სროლის მომენტი რუსული Cy-25-ებთან. საერაულად ასეთივე რაკეტებით დარტყმა სამი წლის წინ მარნეულის აეროდრომსაც მიაყენეს

ვებარდო-ბალყარეთში, პროზლანდის აეროპორტში, ასევე ჩრდილო ოსეთის ქალაქ მოზდოკის სამხედრო აეროდრომზე ბუდიონოვსკის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან და ლიბეცკის საფერონსინო-ტეკნიკური მომზადების ცენტრიდან უკვე გადახროლეს შვეულმფრენები და თვითმფრინავები, ასევე მათი ეკიპაჟები, „ნაღნიკის“ პოლიგონზე 10 აგვისტომდე ინტენსიური მომზადების გასაუფლად.

რა იქნება 10 აგვისტოს შემდეგ, მალე ვნახავთ, ისე კი შეიძლება ვთარაულოთ, რომ პანკისის ხეობა კრემლს დღემდე ველში აქვს განხერილი.

ირაკლი ალბაღშილი



მოც მოსკოვი აძლიერებს საჰაერო დაცვუფებას ჩრდილო კავკასიაში, ისევე საქართველოა.

დამატებით 15 საფერენი აპარატის აღმოჩენა ჩრდილო კავკასიაში ერთი შეხედვით ბევრს არაფერს ცვლის, მაგრამ მთავრია, რამდენ ეკიპაჟს მოამზადებენ მთავორიან რელიეფის პირობებში საბრძოლო მოქმედებისთვის.

როგორც ირკვევა, 2008 წლის აგვისტოს ომამდე ორიოდე თვით ადრეც გამართულა „ნაღნიკის“ პოლიგონზე სწავლება, რომლის აფთხირებას მოსკოვი თვს არიდებდა. არსებობს საფუძველი ეჭვისა, რომ სწორედ ამ მთავორიან პოლიგონზე მომზადებული რუსი პილოტები მონაწილეობდნენ აგვისტოს ომში.



**სითბური ზაფანგების გაშვებით
რუსი პილოტები ცდილობენ
აიცილონ მათკენ გამუებული თბური
დამიზნების საზენიტო რაკეტები**



რამდენჯერ უნდა გავხილოთ ახალი დანაშაულები საერთაშორისო რეპუტაციაზე

ბაიონი ახალი დანაშაულები და გაბრუნდა თუ არა ისინი უკვე...

ველასათვის ცნობილი Wikileaks-ი, რომელმაც არაერთი პოლიტიკოსი თუ მმართველი გუნდი „გაამბივლა“, აქვეყნებს მორიგ დოკუმენტებს, რომლებიც ჩვენს ქვეყნის უახლოეს წარსულს ეხება.

Wikileaks-ის ინფორმაციით, აშშ შეაფასოდა თვდაცვის მინისტრად ბაიონი ახალი დანაშაულები და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მოჰყავსი გულაწვეტილებებისგან თავის შეკავება ურჩია.

ერთ თვეში ორი წელი გახდება, რაც საქართველოს თვდაცვის მინისტრად ბაიონ ახალი დანაშაულები და მიხეილ ახალი გაირკვა, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინ მისი დანაშაულები აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მოლაპარაკებისას შეფიქრებულად გამოთქვეს.

Wikileaks-მა გამოაქვეყნა 2009 წლის სექტემბერში საქართველოში აშშ-ის საელჩოდან გაზიარებული დოკუმენტი, რომელიც თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი აშშ-ის სახელმწიფო მდიონის თანამშრომლის მოადგილე თინა ქვიდენაუსა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საუბარს შეეხება.

ეს წერილი, საერაულოდ, აშშ-ის საელჩოს იმ წარმომადგენლებმა მოამზადეს, რომლებიც შეხვედრას ესწრებოდნენ. როგორც უწყველმა ნათქვამი, „ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში ბაიონ ახალი დანაშაულები წარსულიდან გამომდინარე, თინა ქვიდენაუს შეფიქრება გამოთქვა თვდაცვის მინისტრად მისი დანაშაულები“.

წერილის მიხედვით, „საკაშვილმა მოუწოდა ქვიდენაუსა და სხვა ოფიციალურ პირებს, ახალი დანაშაულები თანაშაულებს დასჯა ნაქარვედ არ გამოეჩინათ და შესთავაზა ქვიდენაუს, ახალი დანაშაულებიზე მუშაობა შეეფასებინა, ქვიდენაუს კი, თავის მხრივ,

პრეზიდენტ სააკაშვილს მოუწოდა, გაეზიარებინა, რა გულაწველი მოახდინა ახალი დანაშაულები საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციაზე“.

მას შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა და აშშ-ს, რომელიც საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, საკმარისი პირი არაა, პრეზიდენტ სააკაშვილის რჩევისამებრ დაკვირვებულა და შეფასებინა ბაიონ ახალი დანაშაულები საქართველოს თვდაცვის მინისტრის პოსტზე.

Wikileaks-ი ჯერჯერობით არ აქვეყნებს დოკუმენტს, თუ როგორ შეაფასა ახალი დანაშაულები საქართველოს მთავარმა სტრატეგიულმა პარტნიორმა და გამართლდა თუ არა ოფიციალური გაზიარების შემთხვევაში. საერაულოდ, საქართველოს ამჟამინდელი თვდაცვის მინისტრის შეფასება თვით სახელმწიფო დეპარტამენტშიც უკვე ექნებოდა და ამერიკული მხარე დიდად არ შეეცდარა, როცა გაიხილა მინისტრის „ცუდი წარსული ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში“.

თვდაცვის სამინისტროსან მომუშავე ამერიკული მისიებისა და სამხედრო ინსტრუქტორების საშუალებით, ასევე იმ ქართველი მაღალჩინოსანი სამხედროებისაგან, რომლებიც შეიძლება უფრო მჭიდროდ თანამშრომლობენ ამერიკულ კოლეგებთან, თვით სახელმწიფო შეიძლება მტერი და რეალური ინფორმაცია აქვთ ქართული არმიის შესახებ, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებამ.

ამიტომაც ოკეანის გაღმა არ გამოკვრიათ ის საკადრო პოლიტიკა, უფრო სწორად კი, მისი არარსებობა, რასაც ორი წლის წინ დანაშაულები თვდაცვის მინისტრი დღემდე ატარებს და რასაც ბევრი პროფესიონალი სამხედრო თუ სამოქალაქო პირის უკანონოდ დასჯა მოჰყვა, მათ შორის ადამიანის უფლებათა დარღვევის მხრივაც, რა საშიშროებაზეც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი აშშ პრეზიდენტ

საკაშვილს ჯერ კიდევ ორი წლის წინ აფიქსილებდა.

სხვათა შორის, თბილისში მომუშავე ამერიკელი დიპლომატები და სამხედრო ახალი შეფასებებს გაზიარებინა მართკო ახალი დანაშაულები მინისტრ ბაიონ ახალი დანაშაულები როდი გზავნიდნენ. Wikileaks-ს არ გამოუქვეყნებია, მაგრამ უდგოა, რომ ფოფილი თვდაცვის მინისტრების — დეიტი თვდაცვის, გულა ბეჟე-აშვილის, ვია ბარამიძის, ირაკლი თვდაცვის, დეიტი გულაშვილისა და დეიტი სიხარულიძის მუშაობაზეც თვით სახელმწიფო მოსაზრებანი ექნებოდა.

ამერიკელი დიპლომატთა გაცემებს განსაკუთრებით ირაკლი თვდაცვის საქმინობა იწვევდა. 2005-2006 წლებში საქართველოს თვდაცვის სამინისტროში ოფიციალურ მისიებში მყოფი ამერიკელი სამხედროები პრივატულ საუბრებში ადარც მალაყდნენ შემოფიქრებულ მინისტრ თვდაცვის გატარებული ცვლილებების გამო.

ამერიკელი სამხედროთა გაცივების თვდაცვის იწვევდა, რომ აშშ-ში სამხედრო განათლებამთვებულ ქართველ სამხედროებს ქართულ არმიამ კარიერის გაყვება ხშირად სუბიექტური მიზეზების გამო არ შეეძლოდა და შეიარაღებული ძალებიდან მიდოიდნენ.

„აშშ ასიათასობით დილარს ხარჯავს, რომ ქართველმა სამხედროებმა წინსვლა პრესტიჟული სამხედრო სასწავლებლებში ცოდნა აიმაღლონ, მაგრამ ბრუნდებიან თუ არა საქართველოში, თქვენს რომელიმე თვდაცვის მინისტრს გულაზე რატომაც არ ქატიება და იძულებული არიან ჯარიდან წაყდნენ. წყალაც გადაყრილი დილარები ერთი პრობლემაა, მყოფი კი ის არის, რომ ჯარიდან დათხოვნილი პროფესიონალი სამხედრო შეიძლება რომელიმე საერთაშორისო ტერიტორიაზე დაჯგუფების წყობა გახდეს, სადაც მის ცოდნასაც გამოიყენებენ და ფულსაც ციხეში გადაუხადებენ“. — ამბობდნენ ამერიკელი სამხედროები.



1914 წლის 29 მაისი. ქუთაისის ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მსხდომთა შორის მარცხნიდან მარჯვნივ რიგით მეორე — გრიგოლ ვეშაპელია

სტალინ-ბერიას აგენზურა ქართულ ემიგრაციაში

მარიამელ „ჩამოსტმა“ სადაზმმარო ოპარაციები

ჩვენ მიერ შემოთავაზებული საქართველოს საგარეო დაზვერვის რეტროსპექტივის პერიოდიზაცია — (პირველი ეტაპი 1918-1921 წწ.; მეორე — 1921-1953 წწ.; მესამე — 1953-1991 წწ. დასასრულად, მეთხუთსეტი — 1991 წლიდან დღემდე) ითვალისწინებს იმ ისტორიულ რეალობას, რაც XX საუკუნის საბჭოთა კავშირსა და საქართველოში იყო.

საქართველოს საგარეო დაზვერვის ისტორიის პირველ ეტაპსა და მეორე ეტაპის პირველ ნახევარზე (1921-1936 წწ.) „არსენალის“ ფურცლებზე უკვე გვექნება დაწვრილებული საუბარი.

ამჟამად კი გვესურს მკითხველის ყურადღება 1936-1953 წლებზე შეყვანოთ ეს მნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდი იმათი იყო გამოირჩეული, რომ ამ წლებში საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საგარეო დაზვერვის ფორმირება და საკადრო-ორგანიზაციული საკითხები უშუალოდ „საბჭოთა ბუღალის“ — იოსებ სტალინის შექმენილებით წყდებოდა. საზღვარგარეთ მდებარეებამდე ქართული მკვლევრების კანდიდატურებს ხშირად სტალინი პირადად არჩევდა. ქართველი ემიგრანტების სიძულვილი და დაუღიბლობა „საბჭოთა ტრანს“ სიცოცხლის ბოლომდე გაკვეთა.

მკითხველს შეეახსენებთ, რომ 1936 წელს ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ საქართველოს სსრ-ში შეიქმნა ცალკე მინაგენ საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელიც პირდაპირ

ცენტრს ემორჩილებოდა. ამ სტრუქტურაში მოქმედებდა სახელმწიფო უშიშროების სამმართველო, სადაც ვერ ქვეყნაწყოფილების, ხილო შემდეგ განყოფილების სტატუსით საგარეო დაზვერვის დანაყოფი მოქმედებდა.

საკემბრო ენ-კა-ვე-დეს ახალმა მინისტრმა ნიკოლაი ევოვმა 1936 წელს კონსპირაციის მიზნით ფუნქციონალურ განყოფილებებს დასახელება ნუქურაციით შეუცვალა, რის შემდეგაც დაზვერვა ტრადიციულად პირველი განყოფილების სტატუსით მოქმედებდა.

1922 წლიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირის, მათ შორის, საქართველოს ჩეკას მთავარი ამოცანა საზღვარგარეთ გაქცეული ემიგრანტების ორგანიზაციებში და წრეებში შეღწევა, აგენტურული ქსელის შექმნა, მათი მდინდან დაშლა და ცნობილ ქართველ ემიგრანტთა მოტაცება ან ლიკვიდაცია იყო.

საბჭოთა სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს ყოველთვის მოჰქონდათ თავი და დიდად ტრამახობდნენ ემიგრაციის წინააღმდეგ დაგეგმილ-ჩატარებულ საქმიანობებში ობიექტურულა მითითნებს ვთქვათ, რომ როგორც საბჭოთა პოლიტიკურ ასევე სამხედრო დაზვერვას, ყოველთვის მრავალი აგენტი ჰყოფდა ემიგრაციაში.

1918 წლიდან მრავალმა ათასმა კაცმა წიფილი რუსეთი დატოვა და სიცოცხლის გადარჩენისთვის დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ქვეყნებს მიამხურა.

1921 წლის მარტის შემდეგ ბოლშევიკების ტერორის შიშით საქართველოდან ემიგრაციაში წასულთა ნაკადმა

იმატა, განსაკუთრებით 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ.

ქართული ემიგრაცია ძირითადად, ევროპაში — უმთავრესად თურქეთში, საფრანგეთში, პოლონეთში, გერმანიაში და ინგლისში დასახლდა. სწორედ ისინი გახდნენ საბჭოთა სპეცსამსახურების სამიზნე.

ქართველი მკვლევარი და აგენტებიც აქტიურად იყვნენ ჩართული საბჭოთა დიქტატორის — იოსებ სტალინის „პოლიტიკული ჰებრაკის“ პარტიებში.

ქართულ ემიგრაციაში ჩასახერხად ქართველი ჩეკისტები იგზავნიდნენ, რუსულში — რუსები, სომხურში — სომხები და ა.შ.

ეს ისტორიული პერიოდი მიხეზნა გამო შეუსწავლელია და ფაქტების მოკვება უდრან ტყეში სიარულს ჰკავს. „არსენალის“ მკითხველს გვინდა შევთავაზოთ ერთ-ერთი სრულიად საინტერესო დოკუმენტი საბჭოთა სპეცსამსახურების არქივიდან, რომელიც შემთხვევით და წყაროებში მოხვდა.

1995 წელს მოსკოვში გამოიქცა დოკუმენტების კრებული: „სსრკ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები დიდ სამამულო ომში: დაწვებამდე (1938 წლის ნოემბერი — 1940 წლის დეკემბერი)“.

გამოცემის პირველი ტომის პირველი წიგნის 270-ე გვერდზე წაწყვილით საქართველოს უახლესი ისტორიით დაწინტერესებული მკვლევრებისთვის ძალნეტარტრის დოკუმენტს, რომელსაც საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ლავრენტ ბერია



სტალინმა პირადი ლეონტი ბერიას განუსაზღვრა — უცხოეთში მყოფი ქართული სამხედრო-პოლიტიკური ემიგრაციის გადღიბება, კომპრომეტირება ან ფიზიკური განადგურება.

წერს ხელს. დღესაც გაკვირვებას იწვევს, როგორ იხილა ამ დოკუმენტმა დღის სინათლე. ამიტომ, სანამ შემოგადგინებთ, მიზანშეწინააღმდეგადად ჩეთავსოთ მცირე განმარტების გაკეთება.

კრებულის ავტორები (ა. ბიკოვი, ვ. ეროშინი, ა. კრაიუშინი და ვ. ტომიფევი) საბჭოთა სპეცსამსახურების ვეტერანები იყვნენ, ხოლო ერთ-ერთი ავტორი და იმპედროვალად სარგდელი კოლგეის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი სერგეი სტეპანოვი, მაშინ რუსეთის კონტრდაზვერვის ფედერალური კომიტეტის დირექტორიც გახლდათ. სწორედ ამ სპეცსამსახურის ცენტრალური არქივიდან განსაიდუმლოებულ დოკუმენტზე გვსურს მკითხველის ყურადღება შექნეროთ.

საბჭოთა (შემდეგ რუსეთის) სპეცსამსახურების საქმიანობის პრაქტიკაში მიღებული იყო, რომ დოკუმენტისთვის საიდუმლოების გრფის მოხსნის შემდეგაც, როგორც წესს, არ გაუთვრათ ოპერატიული-აგენტურული ინფორმაცია: უჭკადრის რეალური დრო და ადგილი, ყოფილი აგენტების არა მარტო ვინაობა, არამედ ოპერატიული ფსევდონიმებიც კი.

დღეს ჩვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის დიდი მნიშვნელობა კი იმით არის განპირობებული, რომ მოყვანილი მონაცემებისა და ფაქტების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ 1921-1940 წლებში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში საბჭოთა დაზვერვის მიერ ჩანერგული ქართველი აგენტების ვინაობა და მათი მოქმედებების ფორმები.

1940 წლის 5 ნოემბერთი დათარიღებული ამ დოკუმენტს საქმად ვრცელში სათაური აქვს:

დიუნების ნაქარალი მხარე უფრო მჭიდროდ შეკრული ქვიშითაა დაფარული. უდაბნოში ადამიანებთან შესახებუნად არასდროს გაჰყვით დამშრალი მდინარეებისა და ნაკადულების

კალაპიტებს. უძრავლეს შემთხვევაში გამშრალ კალაპიტებს მიეყვართ დახშულ წყალსაცავებთან ან დროებით ტბებთან, რომელთა წყალიც სასწილად გამოუსადეგარია.

კლდოვანი ადგილებისა და მოძრავი ქვიშებისაგან თავის ასარიდებლად სჯობს მოგებნით ქარაუნთა ნაკვალევი და გაუყვით მას. სიარულისას წყურვილის გრძობის შესამცირებლად შეიძლება პირში ჩაიდით ბრტყელი კენჭი, ხილის კურკა, ჩირი ან ქერქი. უნდა იხუნთოთ ცხვირით და არ უნდა ილაპარაკოთ.

ქარის, ქარიშხლისა და ცუდი მხედველობის დროს გადაადგილებისაგან თავის შეკავება სჯობს.

უდაბნოში ქარიშხლის დაწყებისთანავე უნდა მოიძებნო კლდე, ლიდი, კუბი ან ხე, ამოყვართ მას და დაწვეთ გვერდზე, რა თქმა უნდა, ზურვით ქარის მიმართულებას საწინააღმდეგოდ.

ქვიშის ნაწილაკების ფილტვებში მოხვედრის ასაცილებლად ცხვირპირზე უნდა შემოიხვიოთ წინასწარ გამზადებული ქსოვილი და ვისუნთქოთ მხოლოდ ცხვირით.

წელის მათარა და სხვა ნივთები, რომელთა წაღებაც შეუძლია ქარს, უნდა ჩაუმარხოთ სილაში.

უდაბნოს ქარიშხალი დიდი ხანგრძლივობით არ გამოირჩევა. მისი დაწყების წინ ქარი მკეოთრად ჩაღდება ხილმე, ჰაერი კი იხეთობა.

მოთრე ქვიშებზე მოხვედრისას უნდა მივიდეთ პირიზონტალური მდგო-

მარობა. ეს ხელს შეუშლის თქვენი სხეულის ქვიშაში ჩამარხვას. ამ დროს აუცილებელია ზედმეტი ტვირთისგან გათავისუფლება. ხელები არ უნდა აეწიოთ ზემოთ. კიდურები ქვიშის ზედაპირზე უნდა გვეწვოს, მუცელზე დაწოლილს შვეკილია ნელ-ნელა გვეცოდეთ ქვიშის მყარი ზედაპირისგან. საერთოდ კი მოძრავი ქვიშების ზონის გადაღებისას კარგ საშახურს გავიწვიო წინასწარ მომზადებული გრძელი, მსუბუქი ჭოკი.

სასმელი წყლის ნაკლებობისას ყველაზე უფრო რაციონალურა წყლის წვერტილად სმა, რომლის დროსაც ყოველი საათის განმავლობაში 100 გრამ წყალს მცირე ყლუპებით სვამენ (პირში იჩერებენ 2-4 წამის განმავლობაში).

სითხის რეკომენდებული ტემპერატურაა 7-12 გრადუსი. წყალიან ერთად ყოველდღიურად 1 გრამი სოლის მიღება სხეულიდან სითხის დანაკარგს 10%-ით ამცირებს.

წყლის ძირითადი ულუფის მიღება უშკრებსა საუზმისას და ვახშმისას. სიარულისას სჯობს წყალი არ დალიოთ და დასვენებისას (5-10 წთ) 3-4 ყლუპის (პირის გამოკლებით) დაღევით შემოიფარგლოთ.

თუ სითხის სადღელამის მოხმარება ნახევარ ლიტრზე ნაკლებია, სჯობს უარი თქვით ნაკვებზე. დამით აქტურებს და შხისგან დასაცავი საფრის გამოყენება ორჯერ ამცირებს სითხის დანაკარგს. ორგანიზმის გამოშრობის ნიშნები: 1-2% — წყურვილის გრძობა; 3-5% — წყურვილს ძლიერა გრძობა, სიმშრალე პირის დროში, მსუბუქი თავბრუსხვევა, მოღუენება;

6-8% — შარდის ფერის ან გამჭვირვალობის შეცვლა (შარდი იმღურევა ან ლურ ყვითლ ფერს იღებს), ნერწყვი მოქწოვანდება, სხეულის ტემპერატურა და პულსი იმატებს, სუნთქვა ხშირდება. კანი ზოგ ადგილას წითლდება, გულიანრევის შეგრძნება, თავის ტკივილი, ძილის მირევა;

9-11% — კუნთების ხაზზე, ენის გასიყვება, ბოდევა, დაზუჭული თვალებით წონასწორობის შენარჩუნების უუნარობა; 15-20% — კანის დანარეკება და დასიყვება, ყლუპის უნარის დაკარგვა, ქუთოთების გაშუშება, გონის დაკარგვა;

ცელსიუსით 30 გრადუსზე ზემოთ სიკვდილი შესაძლებელია დადგეს ორგანიზმის 20 პროცენტით გამოშრობის შემთხვევაში, ხოლო ცელსიუსით 30 გრადუსზე ნაკლებ ტემპერატურაზე — 25 პროცენტით სითხის გამოშრობისას;

ტროპიკულ ტყეებში

ჯუნგლებსა და უდაბურ ტყეებს დღემდე წიხნის ხმელეთის 23% უკავია და მათში პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 3% ცხოვრობს.

ტაქტიკური თვალთახედვით, ტროპიკულ ტყეებს განსაკუთრებულ თვისებებს სძენს ადგილმდებარეობის დაფარული ხასიათი, რაც არსებითად ზღუდავს მოძრაობას.

დაბურული ხეები ზღუდავს მანქნობის შესაძლებლობებს, ამცირებს მხედველობისა და სროლის არეალს, მიზანმიმართულებასა და ურთიერთმოქმედებას. ამასთან, დაბურული ტყეები საუკეთესო პირობებს ქმნის ჯარების მალულად განლაგებისა და სელისათვის. მათ უზარმაზარი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ბუნებრივი შენობებისთვის, რაც სამხედროებს მოწინააღმდეგის საპაირო და სახმელეთო თვალთვალისგან იცავს, არამედ საიმედო თავშესაფარაც არის და შეუძლია ადამიანი ყველა გამანადგურებელი იარაღისგან დაცვას.

საომარი მოქმედება ჯუნგლებში ახლო დისტანციანე ყველაზე ხშირად გზების, ბილიკებისა და მდინარეების გაყოლებაზე იმართება. დაბურული ტყერი მოწინააღმდეგის ადგილსამ-

ყოფლის ზურგიდან შემოვლისა და მოულოდნელი თავდასხმის საუკეთესო საშუალებას იძლევა.

ბუქჩნარში ერთი-ორად იზრდება სასროლი იარაღის როლი. გამოიყენება ხეებიდან ზაფხულებიდან და სახუნდარიდან ჩასაფრებული სროლები. ჯუნგლებში ხშირბუქჩნარიან ადგილას სელისას აუცილებელია ყოველი 30 წუთის შემდეგ აიწუთიანი შესვენება.

დაახლოებით ხუთსაათიანი სიარულის შემდეგ უნდა მოქცეოს 1.5-2-საათიანი შესვენებების ადგილი, დაამატებამდე საათ-ნახევრით ადრე კი — დამის გასათვები. დამე ტროპიკულ ტყეებში (18-19 სმ) უცებ ჩამოწევა ხოლმე.

ხშირი ბუქჩნარის გავლისას მაქსიმალურად უნდა დავიცვათ თავი ხეების მოტეხილი ტოტებისგან, ყვლებიდან, ფოთლების ბასრი და მჭრელი ბოლოებისგან, ბამბუკის ნახლეჩებისგან. უნდა შევიკრათ სქელი ხალათის სახელოები, შარვლის ტოტები ჩავიტენით წინდებში, ხელის მტკვნებზე წამოვიცვათ ხელთათმანები. თუ ეს უკანასკნელი არ აღმოგჩნდათ, ხელებზე დაიხვიეთ ქსოვილი და მაჯებზე შეკარით ზონრით.

ხელების დასაცავად იყენებენ აგრეთვე წინდებს. გარდა იმისა, რომ

მტკნები დაცული გვექნებათ, ხელი ადარ დაგისხლტებათ ზეზე ასვლისას ან ღიანებზე დაკიდებისას. ხეები, რომელთაც ფესვები მიწის ზემოთ აქვს აშვერული, ჭაობის საიხლოებს მაინშენებს.

მოლიპულ აღმართზე ასვლის გასაილევლად საფეჭურების გამოსაჭრელად შეგიძლიათ გამოიყენოთ ბამბუკის წვეტიანი ჯოხი. კოლოები უფრო დამით აქტიურდებიან, მაგრამ დღისით არანაკლებ მწარედ იკბინებიან დაწრდილულ ადგილებში და წვალსატყეების საიხლოებს. კოლოებისგან სახის დასაცავად იყენებენ 70-80 სმ სიგრძისა და 25 სმ სიგანის ქსოვილს, რომელსაც ვერტიკალურად შეჭრილი ფოჩები აქვს. მოქანავე ფოჩები მწერებს აფროთხოვენ.

სხეულის დიაწაწლების დასაცავად იყენებენ შლამის ან თიხის ხსნარს. სახეს და კისერზე წასმული თიხა-ტალახი გამრობისას წარმოშობს საქმარი სისქის ქერქს. ტალახს სხეულზე დამით ისემაენ, როცა ორგანიზში ნაკლებ სითბოს გამოყოფს. წვალ-მარლის დადებით თანაფარდობის შესანარჩუნებლად, ერთ ლიტრ წვალს უმატებენ 2-3 გრამ მარილს და სემაენ დიდი რაოდენობით.

ტროპიკული ტყეები დიდი ტენიანობით გამოირჩევა



მარკუს აგრიკოლა

ძვ. წ. 63-12



მარკუსი

- * ძვ. წ. 44 წელს იულიუს კეისრის შვილიშვილის, ოქტავიანეს ძაღვებს შეეკრთა.
- * 43 გახდა სახალხო ტრიბუნი. გამოიძია კეისრის მკვლელობაში გაიუს კასიუსის მონაწილეობის საქმე.
- * 41-40 დაამარცხა მარკუს ანტონიუსის მემარცხენე ძალეულები.
- * 39-38 დალაშქრა აკვიტანია და რაინასპირთა.
- * 37 აირჩიეს კონსულად.
- * 36 მოიგო ორი სამხედრო-სახლგაო შეტაკება სექსტუს პომპეუსთან.
- * 35-34 იბრძოდა დაღმაცანაში.
- * 31 აქციუმის ბრძოლაში მარკუს ანტონიუსს დაამარცხა.
- * 28-27 კონსულია ოქტავიანესთან ერთად, რომელიც ძალე იმპერატორი ავგუსტუსი გახდა.
- * 19 საბოლოოდ დაიმორჩილა ესპანეთი.
- * 18-17 ავგუსტუსმა ტრიბუნად და თანამმართველად დანიშნა. მთორედ უბოძა სირიის გუბერნატორობაც.
- * 15 ბოსფორის სამეფოში ამბოხება ჩაახშო.
- * 13 დაიპყრო ლუანასპირა მიწები და საფუძველი ჩაუყარა ახალ პროვინციას პანონიას.
- * 12 მარტის დამდეგს გარდაიცვალა.

იმპერატორული დასაფიქსი

მისი დაბადების, ყნობისა და გარემოს შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. თუმცა, კარგად ვიცით, რომ რომის

მარკუს აგრიკოლა რომის იმპერატორ ავგუსტუსის ერთგული თანამშემუყიყო, ურომლისოდაც ეს უკანასკნელი რომის ტახტზე, ალბათ, ვერც ვერასოდეს ავიდოდა.

არისტოკრატია აღმაცურად უყურებდა. აგრიკოლა იულიუს კეისრის შვილიშვილის, ოქტავიანესთან ბავშვიდან მკვებობდა. ძვ. წ. 44 წელს კეისრმა, თავის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, სამხედრო საქმეში გასაწვრთნელად ორეფ აპოლინიაში (ახ. ალბანეთი) გაგზავნა. რომში ერთად დაბრუნდნენ, რათა კეისრის პოლიტიკურ მუქვიდრედ ოქტავიანე გამოეცხადებინათ. აგრიკოლა ტრიბუნი გახდა და კეისრის მკვლელობაში გაიუს კასიუსის მეთავეობის გამოძიება დაიწყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა სირიაში გაასწრო.

ოქტავიანეს ძალაუფლებისთვის გაჩადებულ ბრძოლაში მწიშნელოვანი იყო სამხედრო მხარდაჭერა, ამიტომ აგრიკოლა საბერძნეთში წავიდა, მაკედონური ლეგიონების მიმხრო და რომში აიღო. შემდეგ მარკუს ანტონიუსის ცოლისა და ძმის, ლეციუსის წამოწეულები აჯანყება ჩაახშო და ბრუნდნიშუმში ოქტავიანეს მარკუს ანტონიუსისთან მოლაპარაკების დაწევაშიც დაეჭმარა. ამ მოლაპარაკებით რომაული სამყარო ამ ორს შორის გაიყო. გალაში, აკვიტანიაში ორწლიანი ბრძოლის შემდეგ, აგრიკოლა 37 წელს რომში დაბრუნდა და კონსული გახდა. ამასობაში ოქტავიანე სექსტუს პომპეუსთან სახლგაო ბრძოლაში ჩაება. სექსტუსი რესპუბლიკული გენერლის, გნეუს პომპეუსის გაფი გახლდათ.

მარკუს აგრიკოლა რომის იმპერატორის ავგუსტუსის ერთგული თანამშემუყიყო, ურომლისოდაც ეს უკანასკნელი რომის ტახტზე, ალბათ, ვერასოდეს ავიდოდა.

აგრიკოლა ფლოტისთვის ბაზის აგება დაიწყო პოცუოლისთან, ნეაპოლის ვურში, და მილაცოსა და ნეპოლიქონის გადამწყვეტი ბრძოლებიც მოიგო, რითაც პომპეუსისგან მოსალოდნეული საფრთხე აცივდა თავიდან. 35-34 წლებში ის ოქტავიანესთვის დაღმაცანაში (ახ. ხორვატია) იბრძოდა.

რომში კონტროლის დაწევა

33 წელს აგრიკოლა რომში საზოგადოებრივი სამუშაოების მეთაური გახდა, რაც აკვედუკების, კანალიზაციისა და აბანოების მშენებლობას გულისხმობდა. მოგვიანებით მან პართენონი დაასრულა, რითაც ოქტავიანეს წყალობა დაიმსახურა.

აგრიკოლა რომის ფლოტსაც უსარდლა და აქციუმის კონცხთან ბრძოლაში მარკუს ანტონიუსს დაამარცხა. ოქტავიანემ კი ეგვიპტის დამორჩილება განავრძო, რასაც კლეოპატრას, მარკუსისა და კლეოპატრის გაყის (დღეოფლად პტოლემე კეისრისგან ვაყიდა) სიკვდილი მოჰყვა.

აგრიკოლა თანამოაზრე გაიუს მეცენატთან ერთად რომში დაბრუნდა. 29 წელს, პარიაში გამარჯვების შემდეგ, ოქტავიანემ და აგრიკოლა სენატიდან პოლიტიკური მტრები განდევნეს. 28 წელს აგრიკოლა მთორედ გახდა კონსული, 27 წელს კი მესამე ვადითაც აირჩიეს.

ოქტავიანემ სახელთან ერთად მდგომარეობაც შეიცვალა და საიმპერატორო ძალაუფლებით აღიჭურვა. მან კეისარი ავგუსტუსი დაირქვა. როლეგამ 23 წელს ავგუსტუსს სენმა დარია ხელი, აგრიკოსა თავისი ბეჭედი გადასცა, რათა მისი სიკვდილის შემთხვევაში ტახტზე ასულიყო. ამ კავშირის გასამყარელად აგრიკოლა ცოლს გაშორდა და ავგუსტუსის დისშვილი - კლაუდია მარცლა-უფროსი შერთო. ძალე ავგუსტუსის მთორე ცოლის ინტრიგების გამო საპატიო გადასახლებაში გაგზავნეს - სირიის მმართველად დანიშნეს. აგრიკოლა რომიდან კუნძულ ლესბოსზე წვიდა და სირიას ლეგატის მემკვიდროს მართავდა.

ძალე იმპერატორმა აგრიკოლა რომში იხმო. ვარაუდობენ, რომ მან მეცენატის დაქვინებით იშვილა აგრიკოლა, მთორე ცოლს გაყარა და ცოლად თავისი ქა-

ლიშვილი, ოულა შერიო. 19 წელს აგრიპა ესპანეთში კანტაბრიელების დასამორჩილებლად გაგზავნეს. 17 წელს რომში, როგორც ტრიუმფა და თანამმართველმა, იმპერატორთან ერთად გამართა ტერენტიუსის თამაშები (რომის აღორძინების დღესასწაული), რაც 145 წლიდან აღარ გამართულა. 15 წელს უდიეს მეფე ჰეროდე დიდმა მიიწვია, რომელთან ერთად შუე ზღაპზე, ბოსფორის სამეფოში აჯანყება ჩაახშო.

13 წელს აგრიპამ დუნაისპირა მიწები დაიპყრო — მომავალი პანონია. ეს იყო რომის ახალი პროვინცია, რომელიც თანამედროვე დასავლეთ უნგრეთს, ავსტრიას, სლოვენიასა და სერბეთის ჩრდილოეთს მოიცავდა. ცემა ზამთარმა მას ჯანმრთელობა შეურყია და 12 წლის მარტში გარდაიცვალა. აუგუსტუსმა დიდებული დაკრძალვა მოუსწყო და ხიტყვაც წარმოთქვა.


აგრიპას ბრძოლები

* კეისრის ძველმა მტერმა სექსტუს პომპეუსმა თავისი ფლოტით დიდი დახმარება გაუწვია მარკუს ანტონიუსს კეისრის მკვლელობის შემდეგ. როდესაც 39 წელს მარკუსი და ოქტავიანე დაზავდნენ, აგრიპა სიცილიისა და პელოპონესის ჩრდილოეთით, კორინთოს ყურის სამხრეთში მდებარე აქაიის მმართველი გახდა. სწორედ იმ დროს, როცა არაუნი ელოდა, პომპეუსმა საბრძოლო მოქმედება ისევ განაახლა ოქტავიანეს წინააღმდეგ და წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ აგრიპამ პომპეუსი 36 წელს მესინასთან ახლოს, ნელოქოსთან დაამარცხა. მცირე აზიის-კენ მიმავალი პომპეუსი რომაელ-



**„ურნალი „ნობოკრინი“
ნარმოვიდვანთ! გომი VI**

**შავა დროის საკათოსო ნობოკრინი რივანი, სრული ვაგინა 8 ტოვად
შავაგაული საგჟოთა ცაფურთა მიარეამოღაული მონავეთიფიოთ**



„ნობოკრინის“ ყოველ ნომერთან ერთად, ღვები ერთხელ შეიძლება შეიძინოთ „დავით აღმაშენებლის“ თითო ტომი (ნიგნის ფასი 3 ლარი) უკვე გამოხული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ ნიგნის მალაზიებში

I საუკუნის რომელი ლეგიონერები

მა ლეგატმა მარკუს ტიტუსმა შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა.

* 31 წლის 2 სექტემბერს, აქციუმთან ბრძოლას, მარკუს ანტონიუსმა 70000 ქვეითი და 500 ხომალდი გამოიყვანა, ოქტავიანე კი 80000 ქვეითი და 400 საბრძოლო ხომალდი აგრიპას მეთაურობით. ანტონიუსმა კლეოპატრას რჩევას უგდო ყური და ზღაპზე არჩია ბრძოლა. მან ყურესთან დასავლეთის მიმართულებით ჩამოწვრთა ხომალდები, უკან კი კლეოპატრას გალერები დაიყენა. გამძინარებულ საზღვაო შეტაკებაში ორჯე მხარე ცდილობდა ფლანგიდან მოეგლო ერთიპორსითვის. უეცრად კლეოპატრა გაიქცა. მას რამდენიმე გემით მარკუს ანტონიუსიც მიჰყვა უკან. უმეთაუროდ დარჩენილმა ფლოტი დანებდა. სახმელეთო ჯარებმაც ერთი კვირის თავზე დაყარეს იარაღი. ამით ოქტავიანე რომაული სამყაროს ერთპიროვნული მმართველი გახდა.

* ჩრდილოეთ ესპანეთის სანაპიროს გასწვრივ კანტაბრიის მთებში ცხხოურები კანტაბრიელები იბერიის მახე-ვარკუნძულზე უსასტიკეს ტომებად მიიწინოდნენ. რომაელები მათი 200 წლიდან ებრძოდნენ. აგრიპამ ისინი 19 წელს დაიმორჩილა და ამით ესპანეთის შემომტკიცება დაასრულა.

დაეპირობება

„შატლთან“



2011 წლის 8 ივლისს ფლორიდაში (აშშ) კენედის სახელობის კოსმოსური ცენტრიდან მორიგი სტარტი შატლმა **Atlantis**-მა აიღო. „სპეის შატლის“ პროგრამის მიხედვით განხორციელებულ რიგით 135-ე სტარტში თითქოს არაფერი იყო. ასეც იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება — ამ შატლისთვის, და საერთოდ ამ ტიპის კოსმოსური ხომალდებისთვის, ეს კოსმოსში უკანასკნელი მოგზაურობა იყო, რითაც მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდების ექსპლუატაცია დასრულდა.

ცნობა ამის შესახებ ჯერ კიდევ 2004 წელს გავრცელდა, როცა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ახალი ამერიკული კოსმოსური პროგრამის დაწყების შესახებ განაცხადა.

2008 წლის ივლისის დასაწყისში NASA-მ „შატლის“ უკანასკნელი სტარტის თარიღი დაასახელა — 2010 წლის 31 მაისი. მაშინდელი გეგმის თანახმად, ორბიტაზე გასული უკანასკნელი შატლი **Endeavour** უნდა ყოფილიყო. 2010 წლის ბოლომდე კი ორბიტაზე ამ ტიპის ცხრა გაშვება უნდა მომხდარიყო, ორი — 2008-ში, ხუთი 2009-ში და სამი 2010-ში.

მაგრამ გასულ წელს გეგმა შეიცვალა და თავისი ისტორია ამერიკულმა პილოტრებადმა პროგრამამ წელს დაასრულა.

Atlantis — ამერიკული მრავალჯერადი გამოყენების ხომალდთაგან ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმულია. მისი პირველი სტარტი 1985 წლის 3 ოქტომბერს შედგა. შესაბამისად ის ექსპლუატაციაში 26 წელიწადია. ამ ხნის განმავლო-

ბაში ხომალდმა უკანასკნელი სტარტის ჩათვლით კოსმოსში 33-ჯერ იმოგზაურა და ექსპლუატაციის პერიოდში დედამიწას 4848-ჯერ შემოუარა და ჯამში 202.6 მლნ კმ გაიფარა.

უკანასკნელი მისიის დროს **Atlantis**-მა საერთაშორისო ორბიტულ სადგურზე სატკეირთო მოდული „რაფაელი“ 3900 კგ ტვირთი მიიტანა, საიდანაც 760 კგ პროდუქტი იყო. დამატებით



„შატლი“ **Atlantis**-ის ბოლო მისია

Challenger-ის აფეთქებას პირდაპირ ეთერში
ბილიონობით ამერიკელი უყურებდა



ლი“ 1972 წელს შეიქმნა. კომპლექსის
შემადგენლობაში მრავალჯერადი გამო-
ყენების ორბიტული ხომალდი, რაკეტული
ამაჩქარებლები და ერთჯერადი
საწყვიის აზი შევიდა.

რუსეთის თანახმად, რაკეტული
ამაჩქარებლები 20-ჯერადი, „შატლის“
თანგზად-წყვალბადის ნაერთზე მომუშავე
ძრავები 55-ჯერადი თავად „შატლი“ კი
ასჯერადი გამოყენების იყო.

1981 წლის 21 აპრილს „შატლი“, სა-
ხელად Columbia, კოსმოსში პირველად
გაფრინდა. 1983 წლიდან კი ფრენა უკვე
რეგულარული გახდა და ორბიტაზე თა-
ნამგზავრები და ტვირთი გადატანდათ,
ხოლო ეკიპაჟები კვლევით იყვნენ და-
კავებული.

გარკვეულწილად „შატლი“ აშშ-ის-
თვის ორბიტული სადგურის ფუნქციას
აც ასრულებდა, რომელიც მას არას-
დროს ჰყოლია. ერთდერით სადგური
Skylab-ი ექსპლუატაციაში მხოლოდ
10 თვე იყო.

მაღე Space Shuttle-ის პროგრამა
მამ პირველი დარტყმა მიიღო, — 1986

900 კგ ტვირთი „შატლის“ შუა გემბან-
ზე იყო მოთავსებული. „შატლების“ ის-
ტორიაში ეს პირველი და უკანასკნელი
შემთხვევა იყო, როცა ხომალდის ეკი-
პაჟი 4 ასტრონავტიცგან შედგებოდა.
Atlantis-ის ფრენა 14 დღეს გაგრძელდა.


„სპეის შატლზე“ მუშაობა 60-იანი
წლების დამლევს დაიწყო. „მთვარის-
თვის რბოლაში“ გამარჯვებით ამერი-
კამ კოსმოსის ათვისებაში მიზანს მი-
აღწია, მაგრამ იმედგარეულად აშშ-ის
კოსმოსურმა პროგრამამ მიზანიც და-
კარგა, რაც ფინანსირებაზეც აისახა.
მაღევე ამერიკა კითხვის წინ დადგა:
ამის შემდეგ ადამიანმა კოსმოსში რა
უნდა აკეთოს?

პირველივე პასუხი საკმაოდ გონე-
რული იყო: „აპოლონის“ პროგრამით
შექმნილი უნიკალური ტექნიკის გამო-
ყენებით NASA მთვარეზე ბაზების მშე-
ნებლობასა და შემდგომ მარსის ეტა-
პობრე ათვისებას გეგმადა.

პროგრამამ მოითხოვა კოლოსალური
თანხა, რომელიც აშშ-ს მაშინ არ გა-
აჩნდა. საჭირო იყო ახალი მიზნები და
კოსმოსში ხალხის გასაზღვნი უახლესი
საშუალებები. სწორედ მაშინ გაჩნდა
მრავალჯერადი კოსმოსური ხომალდის
შექმნის იდეა.

მანამდე რაკეტამატარებლები ერთ-
ჯერადი გამოყენების იყო — ორბიტა-
ზე ტვირთის გატანის დროს რაკეტის
საფეხურები ატმოსფეროში იწვოდა.

ჩვენითვის ნაცნობი ფორმის „შატ-



„შატლის“ უკანასკნელ
სტარტს ამერიკული
გამანადგურებლებიც აცილებდნენ



„შატლის“ ბოლო მისიის ეკიპაჟი

წლის 28 იანვარს შატლი Challenger-ი რიგით მეთუთე გაფრენისთვის ემზადებოდა. წინასასტარტო პერიოდი თავიდანვე ცუდად დაიწყო. ჯერ იყო და, შატლში ეკიპაჟის ჩაჯდომის შემდეგ, კარი პერმეტულად არ დაიჭრა. შემდეგ გაუპარათობა ელექტროსისტემაში აღმოჩნდა. რამდენჯერმე ფრენის გადადებაც დააპირეს, მაგრამ საბოლოოდ ყველა პრობლემა მოვარდა.

Challenger-ის რიგით მეთუთე სტარტს მთელი ამერიკა პირდაპირ ეთერში უყურებდა, როდესაც ფრენის 73-ე წამზე ის აფეთქდა და ჰაერშივე ნაწილებად დაიშალა. ბორბზე მყოფი შვიდეუ ასტრონავტი დაიღუპა. პილოტირებადი კოსმონავტიკის ისტორიაში ეს ყველაზე დიდი კატასტროფა იყო.

„შატლებს“ ფრენა ორი წლით შეჩერდა. Challenger-ის კატასტროფის შემდეგ დაუფრენებლედ განხდა ახალი „შატლის“ შექმნის საჭიროება და ახალწყობილი Endeavour-ი ექსპლუატაციაში 1991 წელს შევიდა. ის „შატლებს“ ბოლო წარმომადგენელია.

2003 წლის 16 იანვარს სტარტი აიღო „შატლმა“ Columbia. მისთვის ეს

რიგით 28-ე გაფრენა იყო. ორბიტაზე 16-დღიანი ყოფნის შემდეგ, 1-ელ თებერვალს, მან დედამიწაზე დაბრუნება დაიწყო. ორბიტიდან ჩამოსვლა და ატმოსფეროში შესვლა საშტატო რეჟიმში განხორციელდა.

გრინიჩის დროით 14 საათზე ჰიუსტონმა „შატლიან“ კვშირი დაკარგა. რამდენიმე თვითმიხილვების მიერ გადაღებულმა ვიდეოკადრებმა კი მთელი მსოფლიო შემოიარა: დაჯდომამდე რამდენიმე წუთით ადრე 63 კმ სიმაღლეზე Columbia ჰაერში აფეთქდა. მისი ცეცხლოკიდებული ფრაგმენტები ორი შტატის ტერიტორიაზე გაიფანტა. დაიღუპა შვიდეუ ასტრონავტი.

კატასტროფის მიზეზი „შატლის“ ფრთის მარჯვენა კონსოლის წინა წიბოზე არსებული თბოდაზიზი ფილა გახდა. ის სტარტისას გარე საწვავის აფიდან მოვლევადმა თბოიზოლაციის ნატემა დააზიანა. ატმოსფეროში შემოსვლისას დაზიანებულმა ფილამ ჯერ გაუქლო მაღალ ტემპერატურას. Columbia-ს კატასტროფის შემდეგ „შატლებს“ ფრენა თითქმის სამი წლით შეჩერდა.

„შატლები“ თანდათან დაშვდნენ, ხოლო შენახვა კი სულ უფრო და უფრო ძვირი ჯდებოდა. სისტემების განახლების მიუხედავად, ყოველი ფრენის შემდეგ, ტექნიკური პრობლემები არ ილუოდა. ახალი „შატლის“ აშენებამე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

სისტემის მრავალჯერადობის მიუხედავად, ხომალდების ექსპლუატაციის მანძილზე ძვირი სიამოვნებაა, ყოველი გაფრენის შემდეგ „შატლი“ სრულფასოვან და დეტალურ რემონტს საჭიროებს. იცვლება მისი თითქმის ყველა შვი დამცავი თბოფილა, თეთრების უმეტეს ნაწილს კი ხსინაი და წყობის ახალ ფენას უსყემენ. 2006 წლისთვის Space Shuttle-ის პროგრამაზე დახარჯულმა თანხამ 160 მლრდ დოლარი შეადგინა. აქედან ერთ ფრენაზე დაახლოებით 600-700 მლნ მიღის. ამ ფასად მას ორბიტაზე 20-25 ტრვირით და 7-8 ასტრონავტი გაკავებს. ექსპლუატაციის 30 წლის განმავლობაში 5-მა „შატლმა“ კოსმოსში 135-ჯერ იფრინა და ორბიტაზე 1271 დღე-ღამე დაყო. დედამიწის გარშემო 21144 ბრუნი შეასრულეს და 882122118 კმ გაიფრინეს.

„შატლების“ ჩამოწყრასთან ერთად ცნობილი შეიქნა, რომ მათი შექმნა მსურველს 28.8 მლნ დოლარად შეუძლია. მათ ძრავებს კი თვითგატანის შემთხვევაში, საერთოდ უფასოდ მიიღებდნენ.

საუაიციო მუხეუმები რიგში უკვე დიდი ხანია დგანან. „შატლი“ Enterprise, რომელსაც კოსმოსში არახდროს უფრენია, ვაშინგტონის სმიტსონის საუაიციო მუხეუმიდან ნიუ-იორკის საზღვაო და აეროკოსმოსურ მუხეუმიში გადაინაცვლებს. მის ადგილს კი Discovery დაიკავებს. შატლი Endeavour-ი კოსმოსში საშეცნეო ცენტრში იქნება, ხოლო უკანასკნელ მოპიკანს – Atlantis-ს ფლორიდაში ტენესის სახელობის კოსმოსურ ცენტრში გამოიფენ.

ალექსანდრე ავაშიძე

ისტორიული კადრი — უკანასკნელი მოპიკანი Atlantis-ის დედამიწაზე კოსმოსიდან უკანასკნელად ბრუნდება. „სბიეს შატლის“ 30-წლიანი პროგრამა დასრულებულია



გასაბერი ტანკების იქვანე

სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოება მხოლოდ სუპერთანამედროვე ტექნოლოგიებითა და მძლავრი იარაღის სისტემებით არ შეიძლება. შეიარაღებული ძალების როგორც შვედობიან, ასევე კრიზისულ და საომარ მდგომარეობაში მოწინააღმდეგის დაზვერვის დენინფორმირებისთვის აუცილებელია შეცდომაში შეყვანის იმიტირების საშუალებები.

დამტკიცებელია, რომ შეუიარაღებელი თვალით 500 მეტრზე შეუძლებელია 10 სმ-იანი დეტალების გარჩევა, მაგრამ დღის გასაბერი ტანკების, თვითმფრინავების, სარაკეტო დანადგარების და სხვა საშუალებათა მატკეტების შექმნის ტექნოლოგია იმდენად განვითარდა, რომ 100 მეტრდანაც კი თითქმის შეუძლებელია რეალურისგან გარჩევა.

მატკეტების გამოყენების ძირითადი მიზანია მოწინააღმდეგის ძირითად დარტყმის არიდება განსახლებულ ტერიტორიაზე სამხედრო ტექნიკის რეალურ რაოდენობაზე შეცდომაში შეყვანის გზით.

მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით მულაჟების გამოყენება საფრთხი აპარატების გამოჩენის შემდგომ დაიწყო.

1925-29 წლებში გერმანიაში ჩამოყალიბდა საწვლად ბატალიონები, რომლებიც „ოპელისა“ და „ჰანობაის“ ფორმების მსუბუქ ავტომობილებზე ფანერითა და მუყაითი გაკეთებულ ტანკების მატკეტებით იყო დაკომპლექტებული. ბატალიონებში სატანკო ეკიპაჟების



ნორმანდიის სადესანტო ოპერაციის მზადების დროს გასაბერი ტანკები პოზიციებს რეკულარულად იცვლიდნენ

მოშადა და ქვედანაყოფების ტაქტიკის შემუშავება (პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის არმიას მძიმე შეიარაღებით აღჭურვა აეკრძალა) მიმდინარეობდა.

„სტრატეგიული ტყუილის“ იდეა ფართოდ იყენება ყველა მებრძოლი მხარე და ამისთვის იქმნებოდა ცრუქარხნები, აუროდრომები, მდინარეზე გადასასვლელები, საარტილერიო პოზიციები და ა.შ. ისინი ძირითადად ხისა და ხელი არსებული სხვადასხვა საშუალებებით იკეთებოდა.

ყურადღებება სსრკ-ში გამოცემული სახელმძღვანელო, სადაც აღწერილი იყო თოვლისა და ვენულისგან სხვადასხვა შეიარაღების მატკეტის შექმნის მეთოდიკა.

ყველა მატკეტის სუსტი მხარე მათი უმოძრაობაა.

გასაბერი მულაჟების გამოყენება პირველად ბრიტანელების მოუედიდით თვით. მსუბუქი მატკეტები საჭირო იყო მოწინააღმდეგის შეცდომაში შესყვანად, რომლის დაზვერვაც ძირითადად

აეროფოტოების ვერდობილია და სხვადასხვა დროს გადაღებულ სურათების დემონტაჟის დინამიკაში ახორციელებდა.

გასაბერი მატკეტების შედგენიდან გამოყენების საუკეთესო მაგალითია 1944 წელს ნორმანდიაში გადასხმის შესანიშნავად ბრიტანელების მიერ გატარებული ლინსიძისებები:

მის შემდეგ, რაც გადაწყდა მოკავშირეთა ნორმანდიის სანაპიროზე გადმოსხმა, დღის წესრიგში დადგა გერმანელთა შეცდომაში შეყვანისა და ოკერატული მოულოდნელობის მიღწევა.

საჭირო იყო გერმანელების ორიენტირება საზღვაო დენსანტის გადმოსხმის ადგილზე პა-დე-კალვს სრუტის გავლით, რაც ბრიტანეთის ეუნძელებსა და კონტინენტს შორის ყველაზე ახლი მანძილია.

მეტე დამაჯერებლობისთვის მოკავშირეებმა შექმნეს მთელი ცრურამბა, რომლის მეთაურადაც თავზე ხელაღებული ამერიკელი გენერალი ჯორჯ პატონი დანიშნეს.

გასაბერი თვითმფრინავი შორიდან ორიენტირებისაგან მხელად განსასხვავებელია





გასაბურ ტანკებს ერთი
მინუტი აქვთ — იფუშებიან!

ბრიტანელები ამოცანას კომპლექსურად მიუდგნენ — არმიას ჰქონდა რეალური განლაგება, ყოველდღიურად იწერებოდა უამრავი უწყისი და ბრძანება, აქტიურად მუშაობდა არმიის ყველა რგოლის მართვის პუნქტის საკომუნიკაციო საშუალება, საგანგებოდ შერჩეული პირები ახლომდებარე პაბებში ავრცელებდნენ წინასწარ შემუშავებულ დეზინფორმაციას, დიდი რაოდენობის გასაბური ვ/ტექნიკა პერიოდულად იცვლიდა ადგილს, ახორციელებდა დისლოცირებას და ა.შ. ბრიტანელებს ისიც ვერ გამოიჩინათ, რომ ცრუგანლაგების გარშემო საღვთო რეზინის ქაღალდები და „კოკა-კოლის“ ბოთლები მიმოფანტათ, რათა ამერიკელთა იქ ყოფნა კიდევ უფრო სარწმუნო გამხდარიყო. შედეგი დადევნებულ იქნა და დესანტის გადმოსხმის დღეს გერმანელთა მთავარი დამრტყმელი სატანკო დევიზია მტრის მოლოდინში პა-დე-კალესთან თამაშვარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის რეზერვში შედიოდა ბატალიონი, რომლის ამოცანაც ცრუპოზიციებისა და რაიონების შექმნა იყო. სანტერესოა, რომ მას დამოუკიდებლად შეუძლო „გაეშალა“ კორპუსის დონის გაერთიანების ცრუპოზიციები.

საბურავებისა და კალოშების დამზადებელ საწარმოებს გასაბური ტანკებისა და თვითმფრინავების წარმოებაც

ჰქონდათ ათვისებული. ეს მაკეტები შიდა ხისტ ჩარჩოებს საჭიროებდა და ამის გამო მძიმე და გაბარიტულები იყვნენ. შექმდებოდა პლასტიკის ჩარჩოებზე გადასვლა სცადეს.

უკრაინაში იყო ერთადერთი ქარხანა, სადაც შესაძლებელი იყო ამ ტიპის პლასტიკის დამუშავება, ვინაიდან იმ პერიოდისთვის პრობლემა იყო პლასტიკისა და ლითონის შერეობა. შედეგად, სიძვირის გამო აღნიშნული პროექტი შეჩერდა.

ვიეტნამში საბჭოთა სამხედრო მრეწველებისა და სპეციალისტების დახმარებით ვიეტნამელები პაურსაწინააღმდეგო დაცვის ცრუპოზიციებს ქმნიდნენ, რისთვისაც საწვავის ცარიელ კასრებს იყენებდნენ. რადარი, როცა ამერიკელ

„ფანტომებს“ დააფიქსირებდა, იმედროულად ელექტროდეტონატორებით კასრები ფეთქებოდა. ამით საზენიტო-სარაკეტო ზაღპის ილუზია იქმნებოდა. ამერიკელი მფრინავები კონტრამწერის მიმართავენ, მკვეთრად ეშვებოდნენ, ბომბუდნენ „პოზიციებს“ და საზენიტო ცეცხლის არიდებას ცდილობდნენ. როცა სიმაღლის აკრუფას იწყებდნენ, უკვე რეალურ საზენიტო ცეცხლში ზედმოხდნენ.

პრაქტიკამ თვალნათლად აჩვენა, რომ სპარსეთის ყურეში პირველი ომის დროს ამერიკელთა მიერ საპაერო სერვისის, რადიოეთერისა და ინფრარწითელი დიაპაზონის ტოტალური კონტროლის მიუხედავად, ვრავი ომის ბოლომდე ახერხებდა „სკადის“ ტიპის რაკეტ-



თალიზი

თმის ბალანსირების კლინიკა

თბილისი ქ. 27 ტელ: 214-15-15

www.talizi.ge

გასაბერი რადიოლოკაციური სადგურების მაკეტები



ბის გაშვებას. მიყვაროულად, ალიანსის დაზვერვამ სარდლობას ურაცყვლით სარაკტო დანადგარების არსებულზე 2-ჯერ მეტის განადგურება უბატაკა. ეს შემთხვევა იმ ფაქტს მიუთითებს, რომ მოკავშირეებმა ძირითადად დარტყმები რეალურად მსუბუქი სინთეტიკური მასალისგან დამზადებულ მაკეტებს მიაცყნეს.

საქართველოსთვის ძალზე ყურადსაღები და საინტერესო უნდა იყოს კიდევ ერთი მაგალითი: 1999 წელს იუგოსლავიაში NATO-ს ძალეებმა 1000-ზე მეტი საფრენი აპარატით 35 ათასზე მეტი საბრძოლო გაფრენა შესასრულეს. გამოიყენეს 10 ათასი ფრთოსანი რაკეტა, ჩამოადგეს 79 ათასი ტონა ბომბი და განადგურეს სერბების მხოლოდ 6(!!) რეალური ტანკი, როცა პატაკებში 2 ათასი ტანკის განადგურება აღინშნულა.

საქმე ის არის, რომ მფრინავები ბომბდენენ გასაბერ, მინა-პლასტიკატის, თუნუქისა და სხვა მასალისგან დამზადებულ მაკეტებს. მოკვიანებთ ეს თადა ამერიკულმა მზარემაც დაადასტურა. საინტერესოა, რომ გასაბერი ტანკები თავის დროზე სერბებმა გერმანელებისგან შეიძინეს, რომლებიც მათ საპარო ძალების მომზადებისთვის იყენებდნენ. მათთვის მობილურობის მისანიჭებლად სერბებს მაკეტებს ველისიბელების საშუალებით გადაადგილებდნენ და შეცდომამში შეგყვდათ უახლები აპარატური იმ აბჭურავილი დასალური ჯამუშომთანამგზავრები.

გასაბერი მაკეტების შექმნა საქაოლ რიოელი და შრომატეული საშუაოა, რადგან წნეით მიწოდებული პარისა და ელასტიკური გარისაისის თვისებება (ნებისმიერი ფორმის რეზინის ჭურჭლი პარით გავსების შემდეგ მრავალფორმას იღებს) გასათვლისწინებელი.

თანამეროვე მაკეტები შესრულეულია საცეცალური თვისებების მქონე მსუბუქი ქსოვილით — ბოლინიის საფუტეველს საცეცალისტებმა ელექტროდების გამტარი მასალის ფენა დაემატეს.

მეტალიზებული ქსოვილისგან შექმნილი მაკეტები დაზვერვის რადიოლოკაციური საშუალებებისთვის საბრძოლო ტექნიკის იდენტური გახდა. კონსტრუქტორებმა ისიც გაითვალისწინეს, რომ როგორც წესი, დაზვერვა მხოლოდ ერთ წყაროს არ ყრდნობა, ამიტომაც შესაძლებელია სითბური დეტექტორების გამოყენებაც.

როგორც ცნობილია, საბრძოლო ტექნიკაში სითბოს ასისყვის ძრავა, ტურბოტენერატორი, ქემეჭის ლულა

და ამის იმიტირებისთვის მაკეტებში ჩამონტაჟებული სითბური პანელები შესაბამის ფონს ქმნიან.

ანემატური კონსტრუქციები მთელ მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება მოერიშიე ავიაციის მფრინავების მოსამზადებლად. ამ დროს მათ მარზე რკინის საცეცალური სამაგრებით საიმედოდ ამაგრებენ, ენაიდან მესსიერებში ჯერ კიდევ შემორჩენილა შემთხვევა, როცა უელსში სამხედრო მფრინავების სწულელების დროს ამოვარდნილმა ქარმა პოლიგონიდან 20000 დოლარად ღირებული ტანკის გასაბერი მაკეტი გაიტყა. სამხედროები 3 დღე ეძებდნენ და ბოლოს იძულებული გახდნენ რადიოთი გამოეცხადებინათ რის შემდეგაც „გაფრენილი“ ტანკი სტრუდენტთა ჯგუფის ერთ-ერთ ხეში აღმოაჩინა.

ამში შეიარაღებულ ძალებში გამოიყენება თეთომავალი საარტლერიო დანადგარის, საარტილერიო ქემეჭის, სატრანსპორტო საშუალებების გასაბერი კარკასული მაკეტები.

გერმანიაში ფრმა „პალინფაბრიკი“ აწარმოებს ტანკების, მანქანების, თეთმფრინავებისა და საზენიტო დანადგარის მაკეტებს. დამზადებისთვის გამოყენებულია მასალა, რომელსაც აქვს ასლის-

თვის დამახასიათებელი ამრეკლავი თვისებებებები რადიოლოკაციურ და ინფრაწითელ დიაპაზონში. პავის აწვდის ატომატური ჩართვის ელექტროსისტემა, რომელიც დამოუკიდებლად მუშაობას საჭიროზე დაბალი წნევის დაევიქსირების შემდეგ იწყებს.


მაკეტის მუშა მდგომარეობაში გადაეყვანს მხოლოდ 2 კაცი სჭირება, ხოლო „პოკის“ საზენიტო-სარაკტო ბატარეის მრეწობას (9 გამეჭები დანადგარის მაკეტი) 8 კაცი დაახლოებით 60 წუთში ახერხებს.

სამხედრო „აფერისტობა“ განსაკუთრებით რუსეთსა და ჩინეთს გამოსდის კარავა, თუცა რუსულ მოდელებს უპირატესობა აქვთ ჩინურ და პოლინურ ანალოგებთან, ენაიდან ეს უკანასკნელი ბატუტებს მასალისგან იკრებიან, რის გამოც ხშირად 250 კგ-ზე მეტს იწონიან. ამ დროს რუსული მოდელის წონა საშუალოდ 90 კგ-ს შეადგენს და 2 მეტრიოლ დაეუსუფლად შეუძლია გადაიტანოს.

მხტანბ კაპანანძი

ბრვიადის გენერალი, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ექვემოთ 2008 წლის აგვისტოს
ომში დაღუპულ გიჟებს

8 აგვისტოს

დასაძვრედიანი

(დასასრული. დასაწყისი იხ.
„არსენალი“ N9-15, 2011)

8 აგვისტოს ომიდან ერთი წელი გა-
ვიდა... გიორგის დაღუპვა მთუშუშებელი
არა იყო მშობლებისთვის, ძმისთვის, ნა-
ნასთვის... განსაკუთრებით დავითს გაუ-
ჭირდა. გარდა იმისა, რომ შვილი დაკარ-
გა, მეუღლესაც კარგავდა. ამას ნათლად
ხედავდა ნადრეკვად დაბერებული მამა-
კაცი. შვილის გარდაცვალების დღიდან
ნინო ლოვინად ჩაყარდა და მას შემ-
დედგ ვეღარ გამოიხედა. პირველად მხო-
ლოდ მამინ აბილი ხმა და ოდნავ შე-
სამჩნევად გაიღიმა, როცა შვილიშვილი
დაუკორეს ლოვინზე. პატარა გიორგის
დაბადებამ ბუბის თითქოს სიცოცხლის
ნიშნაწყალი დაუბრუნა. გაღუეული ხელე-
ბით ეფერებოდა ჩვილს, თვალცრემლიანი
გულში იხუტებდა აღნაგებულ პატარას
და ძლივს ვასაკვანი ხმით ზურჩულებდა:
„ჩემო გიორგი... ჩემი გიორგი დამაბრუნა
დებრეთმა...“

8 აგვისტო გათინდა. მთელი წლის
განმავლობაში ეს პირველი დღე იყო, ნი-

ნო რომ წამოდგა ლოვინიდან და სასაფ-
ლაოზე გასვლა მოითხოვა. მის ნებას ვინ
აღუდგებოდა წინ. ფეხზე დადგა თუ არა,
თავბრუ დაეხეა. დავითი ერთი ნახტომით
განწადა მასთან, უხმოდ ჩაეხუტა და ასე-
ვე უხმოდ ატირდა, მხრები უცაცხაცებდა
მხოლოდ.

– შენ მაინც არ მიმატოვო, – უჩურ-
ჩულა ჩონჩხად ქცეულ კალს და მძლავ-
რად მიიჭრა მკერდზე. – უნდა გაგმაგ-
რდეთ, ნინო, ხომ იცი, ბავშვებს ვვირდებ-
ბით... – ბავშვებში უმცროს შვილსაც
გულისხმობდა და შვილიშვილსაც.

– მე რა მოკლავს, დაით, ხომ ხედავ,
რკინის ვეფოლივარ, – ამითქვა გულდა-
თოქეულმა დედამ და ცრემლმორეულმა
შვე ჩარჩოში ჩასმულ შვილის სურათს
გახედა.

სისხამ დილით, მთელი ოჯახი გაემ-
გზავრა თბილისში, გიორგის საფლავის
მოსანახულებლად. შემზარავი სურათი
იყო. ვაჟის საფლავზე გადამზობილი ნი-
ნი მწარედ, უსიტყვოდ ვიკვებდა. ტირი-

და ნანაც, რომელსაც პაწაწინა გიორგი
ხელში აეტაცებინა და ისე მიეხეცა მე-
ორე მკლავი, თითქოს ვიღაც წართმევას
უპირებდა. ირაკლი და დავითი იქვე, შო-
რიახლოს იდგნენ თავჩაქანდრულნი...

საღამოს, მწუხრზე, თოხთაურში, მა-
რესაშვილების მარანში ჩვეულებისამებრ
სუფრა გაიშალა... თუქცა, ეს სუფრა
ლხინის სუფრას არ ჰგავდა. მეზობლები
მღუმარედ სვამდნენ დაღუპული თანა-
სოფელის სადღეგრძელოს. წვერმოშ-
ვებული დავითი ყანწით ხელში მღუმარ-
ედ, თავის ქვევით საითითოდ ეუბნებოდა
სამადლობელს მეზობლებს.

– ამ ყანწით კი, ჩემო კარგო ადამი-
ანებო, იმ მორეცაც გაუმარჯოს, მასთან
ერთად რომ დაიღუპა, მის ტოლს და
სწორს, მის მტერს და ამავე დროს მის
მოყვარეს, ვლადიმირის ხსოვნის დაფი-
ლით ვვლამ. – დახული ხმით თქვა და-
ვითმა და მეგობრის დაღუპული შვილის
სადღეგრძელო დალია. შემდეგ ყანწი
ირაკლის გადაწინადა, თავად კი მობი-

ლური ტელეფონი აიღო და დიმიტრის მისკოვის ნომერი აკრიბა.

ტელეფონში დაკავების ზუმერი გაინსა... სამჯერ სცადა, მაგრამ ყოველ მგობართან დაკავშირება ვერ შეძლო... აპარტუ ვიწველ ვჯერზე, თითქოს განგებ, დაკავებას იძლეოდა...

ამდროულად, მოსკოვში ზუსტად იმავე დროს ერთ ფემინებულურ ბინაში ასეთივე მოკრძალებული სუფრა იყო გამწვლილი. მაგიდას იქ მხოლოდ ოჯახის წევრები უსხდნენ. მამა – დიმიტრი, დედა – ლენა და ქალიშვილი – კატია...

მაგიდის შუაში ნათავი ჭიქა იდგა, რომელშიც არაყი ეხსა და ზედ შავი პური იდო. კედელზე დაკიდებული ოქროსფერი ჩაწილიდან იქ მყოფთ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ვლადიმირი შეშლილიყო. დიმიტრიმ ცალ ხელში ყანწი მოიმარჯვა, მეორეში – მობილური ტელეფონი, სწრაფად მიძებნა მენუმში საჭირო ნომერი და მწკანე დილაკს დააჭირა. ის ღაფთ მარენაშვილს ურკაკვდა, მაგრამ ვერ შეძლო, ნომერი დაკავებას იძლეოდა. ამაოდ... რამდენიმე მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა...

რადგან დაკავშირება ვერ შეძლო, დიმიტრიმ ყანწი ონგად დააპირქვა, შავ პურს ზემოდან ცოტაოდენი ღვინო დაასხა, გიორგის ხსოვნისა იყოსო, წარმოიქვა და სასმისი ბოლი წვეთამდე დაცკლა...

* * *

ნანა მარენაშვილებთან საცხოვრებლად არ გადასულა, მაგრამ თითქმის ყოველდღე მათთან იყო და ღაფთის ნინოს მოვლაში ეხმარებოდა. ბაბუა დათოს ერთადერთი ნუგეში ახლა შვილიშვილი იყო. რა თქმა უნდა, ირაკლიც ჰყავდა,

მაგრამ რომ არა პატარა გიორგი, ვერ შეძლებდა თავს დამტყდარი უბედურების გადატანას. პატარამ უფრო გაუადვილა გაუსადიხის ტკივილის ატანა.

ახლაც, მარანში, სამგლოვიარო სუფრასთან, როცა პირველად აღინშნაღდნენ გიორგის გარეშე მის დაბადების დღეს, ყველაზე ხმაურიანი შვილიშვილი გამძობდა. დედის მკვავებში მოკლათიუელი 5 თვის ბავშვი ჭირვეულობდა და ხელეგამწვლილი მარნის ერთი კუთხისკენ მივლი სხეულით იწვედა.

– ნანა, შვილო, რა უნდა, რაღაცას გიხვოს, მტონი, – ღაფთმა რძალს მორიდებით მიმართა.

– არ ვიცი, ვერ გავიგე, რა უნდა, – მხრები აიწქა ნანამ.

– მიდი, ბაბუ, მიდი ჩემთან და მითხარი, რა ვინდა, – ბაბუამ შვილიშვილი ხელში აიყვანა და იქითკენ გასწია, საითაც პატარა იწვედა.

გიომ ჭყლიბის უმატა, ხელები სიხარულით აიქნა ჰაერში და ბუხრის თავზე დადებულ ნიფის ლულუნით დაეძგერა...

ეს თვითმფრინავის ფრაგმენტი იყო, წარწერით – „გიორგი, ვლადიმირი, 1984 წლის 8 აგვისტო“... ეს ფრაგმენტი ირაკლიმ ჩამოიტანა ცხინვალდიან, სწორედ იმ ადგილიდან იყო წამოღებული, სადაც მან ვლადიმირის თვითმფრინავი ჩამოაგდო...

მარანში სამარისებური სიწუმე ჩამოვარდა... მოგვიანებით ქალის მოთქმის ხმამ დაარღვია ეს სიწუმე... ღაფთმა ბავშვი რძალს გადაუღოცა, სუფრასთან მჯდარ აქტივინებულ ცოლს მიეახლა, მხარზე ხელი გადახვია და... თავდაც ახლუქუნდა.

ატირღდნენ მუზობლის ქალებიც, მაკაცებსაც გაუბრწუნდიათ თვალბში ცრემლი... ირაკლიმ ვერ გაუძლო და გარეთ გავიდა. ამღენი ატირებული ადამიანის დანახვაზე პატარა გიორგიმაც მორთო ღრალი და დედას მჭდროდ ჩაუხტა...

სუფრა ვლოვის ზარს დაემგავცა...

10 წლის უმეღა...

2018 წლის 8 აგვისტო გათნდა. ირაკლი ანტალიაში იხვეწებოდა. საღამო ხანი იყო. წარმოსადგენი ქართველი მაკაცი იდუმალი დიმიტით მოეყვებოდა ტროტურას. მას პაემანზე მიქქარებოდა. გუმში ულამაზესი ვიფონა გაიცნო, ქერთამანი კატერინა. ვერ ვერ გარკვეა, საღაური იყო, ამღენი არ ულამაზაკათ, თუმცა ამას დღეს გარკვევს. ზღვისპირა ბარში დაბატცია აშოლტცილი მწეთუნახავი და მასთან მიიქქარის ახლა. არც თეთით უთქვამს, ქართველი რომ იყო, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ინგლისურად უსაუბრებოღდნენ, ორივეს ეტყობოდა, რომ არც ინგლისელები იყვნენ და არც ამერიკელები. „ისე, ასპროცენტრანი სლაგია – ან რუსი, ან უკრაინელი, ან პოლენელი“, – თავისთვის ფიქტობდა ირაკლი და დიმიტს ვერ იზორებდა.

კატერინამ 10 წუთი დაგვიანა. ამში არაფერი იყო გასაკვირი – ქალბს ხომ უფვართ პაემანზე დაგვიანება.

– მაპატიეო, ცოტა შემგვიანდა, – მორიბინა გოგონამ და ზღვასავით ლურჯი თვალბი შეანათა მამაკაცს.

– არა უშავს, მიგვარს, როცა იგვიანებენ, – გაიხუმრა ირაკლიმ, ბარის კარი გამოღო და მანდილოსანი წინ გაატარა...



საუბრო თავისუფლად აეწყო. რამდენიმე ბოკალი ღვინო დალიეს და ერთმანეთის უკეთ ვაცნობას „შეუდგნენ“.

— მე ქართველი ვარ, — თქვა ირაკლიმ, — ვმასხურობ საქართველოს ჯვარში და ვიქცევი პოლიკენი ვარ.

კატერინას ამის გაგონებაზე თითქოს ფერო ეცვალა, შეებუნდა და ეს აშკარად შეეცყო.

— მე... მე კატია მქვია, მოსკოვიდან ვარ, სადაზღვევო ფირმამი ემუშავო მენეჯერად. მაქვს კარგი ხელფასი, ყოველ შემთხვევაში, ჩემი სიძოვანებისთვის მყოფინს.

არც ირაკლის ესიამოვნა იმის გაგება, რომ მისი ქრათიანი კატერინა მანც-დამანც რუსი კატია გამოივსა, თუმცა, მისგან განსხვავებით, არ შეიძინა, თან ვერმანთ გაცნობისთანავე მიხვდა, რომ ასეც იქნებოდა.

— ეს იგი, რუსი ხარ... — დააკონკრეტა არადა, უფრო გაუხარდებოდა, უკრინელი ყოფილიყო, ან, სულაც პოლინოელი.

— ჰო, რუსი ვარ და ერთ რამეში უნდა გამოვიტყდე, ოღონდ არ გეწყინოს, კარგი?

— ვეცდები, არ შეწყინოს, მაგრამ ასეთი რა არის? — ნადავლადევი მხიარულებით შეუცვალა მამაკაცი.

— არ მიყვარს ქართველები... — გოგონა მიიღუმა.

— არ ვიყვარ? რატომ? — ირაკლის ჩრდილმა გადაურბინა სახეზე და დაიძაბა.

— ათი წლის რომ, ავვისტომი, თქვენთან იმი რომ დაიწყო, ქართველებმა იმ ომში უფროსი მძა მიმაკლეს, — რამდენიმეწუთიანი პაუზის შემდეგ, როცა ირც ექნა, ამოიღერა.

— მდაა... — ირაკლიმ ბოკალი დადგა და მარცხენა ხელისუფლი პირზე აიფარა, პერე უხერხულად შეიმშუმნა, თავი გადააქანა, იფივე ხელი ნელი მოძრაობით თმაზე გადაისვა და ყრუ ხმით დაიწყო.

— იმ დროს იმ ომში ჩემი ქვეყანა ძალიან დაზარალდა, კატია... მხოლოდ ჩემი და არა შენი... და მხოლოდ ჩემი ძმის სიცოცხლე არ შეუქრავს. შენი უფროსი მძაც დაიღუპა ავვისტოს ომში და იგი მე რუსებმა მომიკლეს. ეს არც შენი ბრალია და არც ჩემი. ეს პოლიტიკის ბრალია. როგორი პერიოდი იფვა მამინ. ორ ქვეყანას შორის უთანხმოება მოხდა, რაც ომში გადაიზარდა და ამით, პირველ რიგში, ხალხი დაზარალდა. იმ ზარალს დღემდე იმკან ქართველები. ქართველი ხალხი არაფერ შუაშია იმაში, რომ შენ ძმა მოგიკლეს. მეც მომიკლეს ძმა, მაგ-

რამ ამის გამო რუსები არ შეგვაკრებია... იმეღია, გეჰმისი, რისი თქმაც მინდა.

— ჰო... — კატიათ თვალი აარიდა მამაკაცს და თავი ჩალუნა.

— მოდი, მათი სულის შესანდობარი დავლითო. მე და შენ ერთნარი სიტუაციაში ვყოფილვართ. ვინ იცის, იქნებ სულაც ღმერთმა ინება ჩვენი შეხვედრა... იქნებ ჩვენი გაცნობით რაღაც ნიშანიც მოგვცა...

გოგონამ გაიღიმა.

— არაფერ იცის... გამობრცხული არაფერია...

— ხსენა იფოს მამინ ჩემი ძმის, ჩემი ვიორგის, რომელსაც სწორედ დღეს, 8 ავვისტოს აქვს დაბადების დღე და რომელიც 34 წლის გახვდებოდა... შენს ძმას რა ერქვა?

— რას ამბობ, მართლა? — განცევრდა კატია, — როგორი დამთხვევაა! ჩემს ძმასაც დღეს აქვს დაბადების დღე და ისიც 34 წლის უნდა გამხდარიყო!

ირაკლის თითქოს დანა ჩაატრტყეს გულში, ისეთი ხმით ამოვიგმინა, „ოღონდ გე არა, ღმერთო, ოღონდ გე არა!“ — გაიფიქრა თავზარდაცემულმა და საკონტროლო შეკითხვა დასვა.

— რა ერქვა შენს ძმას?

— ვლადიმერი, მჭირნაყო იყო. პირველსვე იფიოშე ჩამოვადეს ცხინვალის მისადგომებთან. იფი? მამის მგეობარი ჰყვავდა საქართველოში, რომელსაც ერთხელ დიდი ქართული ვანჩი არქვა. იმ ვანჩის ვლადიმერის სახელი აწერია და მამა ყოველი წლის 8 ავვისტოს, მისი დაბადების დღეზე, სწორედ ამ ვანჩით სვამს ვლადიმერის სადღვეტქელს. დღემდე ავრ ვემძლდება.

— მართლა? — ირაკლიმ საკუთარი ხმა ვერ იცნო...

— ჰო, იმ კაცს ჩემი ძმის ტოლი შეიძლო ჰყოლია თურმე. როცა ვლადიმერი დაიბადდა, მამა თბილისში იმყოფებოდა იმ დროს, საეაიციო ქარხანაში. იქ დაურეკეს და უთხრეს, ვაფი შეგებინაო. ზუსტად იმ დღეს დაბადებულა მისი შვილიც, სახელი არ მასსიფს, სიმართლე ვითხრა, რადგან მამას იმ დღის მერე მათი სახელიც არ უხსენებია. თუ მასსიფსობარ ამ მლაღატობის, დავითი, თუ ვიორგი თუ რაღაც ანდავავია...

— შენი ძმა მოიფირო შე თვითმჭირნავის პილოტი იყო? — უფრო და უფრო ექუფურებოდა ირაკლის სახე.

— ჰო... — თავი დაუქანა კატიათ და მოულოდნელად კითხვა შეუბრუნა, — შენ საიდან იცი?

მამაკაცი მძიმედ წამოვდა, ხელელი ვიბებუში ჩაიწყო, თავი ჩაქნებრა და მაცილის დაამტერდა. ორიფე წუთის შემ-

დღე კი კვლავ დადგა, კატის გრძელი თითები მუკში მოიმწყვდია და დახშული ხმით წარმოთქვა.

— შენი ძმა მე ჩამოვავლე, კატია...

— რა-ა? დატყუებ? — გოგონას მიტკლისიფე დავლენ სახეზე, გამძრალი ტუნები ანგარიშმოცემლად ენის წვეტი ერთი გათივლა და გაბზარული ხმით დაამატა, — მამინებ...

— არა, არ გამინებ... და არც ვატყუებ... ეს სიმართლეა. მე ვარ ის ქართველი სამხედრო, ვინც შენი ძმის მოიფირო შე აფუტუბა.

— კი მაგრამ, რატომ?.. რალა მანც-დვამინც შენ?.. რალა შენ... შენ ვავიციანი? — დაბნულად აურთულდა გაფითრებული გოგონა.

— მან ჩემი ძმის ტრანი აფუტუბა... ვიორგი ადგილზე დაიღუპა... ამ ყველაფერს მე შევესწარი, რადგან იქვე ვტრიალებდი, ახლის. მეც ვიბრძოდი იმ ომში.

— ეს დაუჯერებელია! — ახლა კატია წამოიფრა ფეხზე.

— ეს ბედისწერაა, კატია. ასეთია ომის დაუწერილი კანონი. შენ შვიდღუბა არ იცი, ალბათ პატარა იფავი მამინ, მაგრამ ისინი მეგობრები იფენენ, გეჰმისი? მოუხვდავად ამისა, მათ ცხოველებს დადგა ისეთი მომქნეტი, როცა დაზარალების მეგობრები მტრებად იქცენ... და სწორედ ამ მომქნეტს ჰქვია ომი!

— უკაცრავად... უნდა წავიდე... ჩურჩლით წარმოთქვა გოგონამ და ნიკასი აუკანკალდა.

ირაკლი არ შეესწინადადღვებოდა. მართალი იყო კატია, უნდა წასულიყო... უნდა წასულიყო, რადგან მათი ნაცნობობა ვეღარ გაუმძლავებოდა... ვერც ურთიერთობა აუმჯობესებოდა...

მამაკაცი დიდხანს ვაკურებოდა არეული ნაბიჯებით მიმავლ ქვრათიში ან ლამაზმანს. პირველად მოხდა მის ცხოვრებაში, როცა ქალი მოეწონა. აი ასე, ერთი შეხვდა და გული შეუტოვდა. პირველად ვიდაცაზე ახმბურდა მისი გული და...

და ის ვიდაცა მანცდამანც ის დემონქნა, ვისთან დახლებოდასაც არ ისურვებდა... მისი ძმის მგვლელის და მისი მოკლელის და... მამამისის უახლოესი მეგობრის ქალიშვილი...

არა, მათი ურთიერთობა ვერ გავრძელდებოდა. არც რამეფი ახსნას ჰქონდა აზრი... არც თავის მართლებას, რადგან მათ შორის უზარმაზარ ნაბრალს დავლი პირი...

ნაბრალს, რომელიც ომმა გააჩინა... ყველაფერში ომი იყო დანამსვეც...

პირველივე ბასროლით 1200 მ-ზე!



ავღანეთში პენტაგონი გაუმჯობესებულ სნაიპერულ შაშხანა M2010ESR-ს ცდის...

ერაყსა და ავღანეთში პენტაგონი დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა — ამერიკულ სამხედროთა შორის მსხვერპლის რიცხვის შესამცირებლად აუცილებელი იყო ამერიკელი სნაიპერების შაშხანებს ერთ კმ მეტ მანძილზე ზუსტად დაეზიანებინათ მოწინააღმდეგე, რათა ამ უკანასკნელთა AKM-სა და CBD-ებს არ დაესწროთ...

ავღანეთისა და ერაყის შეიარაღებული კონფლიქტების დაწყებამდე ამერიკელი საარმიო სნაიპერების შეიარაღებაში, ძირითადად, მომდევნებული M24 ტიპის სნაიპერული შაშხანები იყო, თუმცა მათ ხელში ვიეტნამის ომის დროინდელი M21-ების ნახვა კი შეიძლებოდა.

სნაიპერული შაშხანა M24-ის სროლის მაქსიმალური ეფექტური მანძილი 800 მ-ს უტოლდებოდა, რაც არ იყო ცუდი, მაგრამ მას თითქმის აღარ რჩებოდა უპირატესობა თალიბების შეიარაღებაში არსებული საბჭოთა თუ ჩინური წარმოების სნაიპერულ CBD-ებთან, რომლის ანალოგიური მაჩვენებელიც 600-700 მ-ს შეადგენდა.

ამერიკელ სნაიპერებს აუცილებლად სჭირდებოდათ გაუმჯობესებული სნაიპერული შაშხანა, რომლის სროლის მაქსიმალური ეფექტური მანძილიც CBD-სთან შედარებით რამდენიმე ასეული მეტრით მეტი იქნებოდა.

პენტაგონის შეკვეთით ცნობილმა

ამერიკულმა საიარაღო ფირმამ Remington Arms-მა რამდენიმე წლის წინ შექმნა სნაიპერული შაშხანა M24-ის გაუმჯობესებული ვარიანტი M24E1, რომელსაც 2010 წელს ახალი სახელი XM2010ESR ეწოდა. პირველი ასო X მიუთითებს, რომ ეს შაშხანა ჯერ კიდევ ექსპერიმენტულად ითვლება, თუმცა ა. წ. დასაწყისში პენტაგონმა 250 ცალი M24-ის XM2010ESR-ის დონემდე გადაკეთება და სასწრაფოდ ერაყსა და ავღანეთში გაგზავნა გადაწყვიტა.

მოდერნიზებული ამერიკული შაშხანის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ XM2010ESR-ით 7,62X67 მმ კალიბრის (.300Win Mag) ვაზნის ტყვიის სროლის მაქსიმალური ეფექტური მანძი-



ამერიკული ძირითადი სნაიპერული შაშხანა M24



ამერიკელ სნაიპერებს მოძველებული M24-ები აღარ აკმაყოფილებთ თალიბებთან ბრძოლაში



ჩვენი ღონისძიება: მოდერნიზებული ამერიკული სნაიპერული შაშხანა XM2010ESR საბრძოლო მდგომარეობაში 7,95 კგ-ს იწონის. მისი მთლიანი სიგრძე 1135 მმ-ია, ლულის სიგრძე კი 610 მმ. მჭიდში 7,62X67 მმ კალიბრის 5 ვაზნა ჩადის

მოძველებული სნაიპერული შაშხანა M24 გათვლილი იყო 7,62X51 მმ NATO (.308Win) ტიპის ვაზნაზე, რომლის ტყეა 11 გ-ზე მეტს იწონის, მისი საწყისი სიჩქარე 815 მ/წმ-ია, ხოლო საწყისი ენერჯია კი 3695 ჯოული. მოდერნიზებული XM2010ESR-ში კი გამოყენებულია უფრო მძლავრი ვაზნა — 7,62X67 მმ (.300Win Mag), რომლის თითქმის 10 გ-იანი ტყეის საწყისი სიჩქარე 987 მ/წმ-ია, ხოლო საწყისი ენერჯია — 4730 ჯოული



XM2010ESR-ის არასრული დამლა

სნაიპერული
შაშხანისა
და მისი
აქსესუარების
გადატანა
სპეციალური
კონტეინერით
ხდება



ლი 1200-1300 მ-მდეა გაზრდილი, რაც უღანეთში მყოფ ამერიკელ სნაიპერებს თალიბანის სნაიპერების СВД-ებთან შედარებით თითქმის ორმაგ უპირატეხობას ანიჭებს.

ასეთი შედეგის მისაღწევად ამერიკელ კონსტრუქტორებს მოძველებული სნაიპერული M24-ის თითქმის მთლიანად შეცვლა დასჭირდათ M24-იდან ახალ შაშხანას მხოლოდ ლულის კოლოფი და დარჩა, სამაგიეროდ, შეიცვალა ლულა, საკეტის ჯგუფი, დამშვები მექანიზმი და სხვ. უცვლელი დარჩა გადატენის მექანიზმი — მოდერნიზებული ამერიკული სნაიპერული შაშხანის გადატენა, ისევე როგორც მისი წინაპორბედებისა, ყოველი გასროლის შემდეგ ხელით ხდება წრფეად მოსრიანე მობრუნებადი საკეტის საშუალებით პროფესიონალ სნაიპერებს შორის დღემდე არ შეწყვეტილა კამათი, თუ რა ჯიბის სნაიპერული შაშხანისთვის — ხელით გადატენა თუ თვითდატენის მექანიზმი.

СВД-ს თვითდატენის მექანიზმი აქვს და მისი სწრაფსროლა უფრო მაღალია, ვიდრე ხელით დამტენი მოდერნიზებული XM2010ESR-ისა და მსროლელს აღარ სჭირდება თვალის მოცილება ოპტიკური სამიზნისგან, რათა ხელით გადატენის იარაღი, თუმცა, ალბათ, ამერიკელ სნაიპერებს მაინცაო, რომ მოეყარია, სნაიპერული შაშხანის მექანიზმის სიმარტყე (თვითდამტენი მექანიზმი გადატენის პროცესს გასროლისას წარმოქმნილი აირით ახდენს, რისთვისაც აუცილებელია ლულიდან აირის ნაწილის გადატანა სპეციალურ დგუშთან მიწყობილობაში, რაც ამძიებს და ართულებს სნაიპერულ შაშხანას), ხოლო სწრაფსროლა მეთორბარისხოვანია, რადგან

უპირატეხობა პირველი გასროლის სიზუსტეს ენიჭება.

XM2010ESR-ში ფართოდაა გამოყენებული ალუმინი და კომპოზიტური მასალები, რაც ამცირებს იარაღის საერთო მასას. კონდახი მთლიანად რეგულირებადია და იგი ადვილად შეიძლება მთიეროს მხარზე ნებისმიერი ანაგობის მსროლელმა, გადატანის დროს კი კონდახი იცეცება.

ლულის ჩარჩოს თეზე, მიუღ გაყოლებასზე, დამონტაჟებულია Picatinny

rail-ის ტიპის მიმმართველი, რომელზეც მაგრდება როგორც ოპტიკური, ისე დამის სამიზნე. ლულის ბოლოზე დაყენებულ ცეცხლქრობზე სწრაფად ეწვდება ხმის ჩამხშობი, რომელიც ასევე ამცირებს გასროლისას წარმოქმნილი ცეცხლის ალს.

ბოლო ინფორმაციის თანახმად, ამერიკელმა სნაიპერებმა, XM2010ESR-ის გამოყენება აღაღებთ 2011 წლის მარტიდან დაიწყეს.

ირაკლი ალადაშვილი

სნაიპერული შაშხანა XM2010ESR-ი აღჭურვილია Titan-QD ტიპის მაყუხით, რომელიც გასროლისას წარმოქმნილ ცეცხლის ალს — 98%-ით, უკუეცმას — 60%-ით, ხოლო ხმას კი 32 დეციბელით ამცირებს





ISSN 1987-5061



XM2010ESR

37/30